გაზეთი ბოლოსა, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№48 (1590) 29 დეკემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

გაზეთი „ვერსია“ გილოცავთ ახალ წელს!

რა იყო 2021 წელს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა

მიშას დაბრუნება, ჯგუფური შიმშილობა და „სანტა ბარბარასავით“ გაწელილი კორონას ტალღები

„აფხაზურ ოპოზიციას საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება არ სურს!“

მამუკა არეშიძე ოკუპირებულ სოხუმში არსებულ კლანებზე

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცოტნე გამსახურდია კოლხურ კოშკში დაბრუნებას შეძლებს

ინტერვიუ ანა ჯაბაურთან

24 წლის წამალდამოკიდებული ბიჭი, რომელმაც ორსული ცოლი სასტიკად მოკლა

2021 წელს მომხდარი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ფაქტები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ რომეო მიქაუტაძე დაინიშნა. ნათია თურნავას ახალი მოადგილე ენერგეტიკის მიმართულებას უხელმძღვანელებს. მინისტრის მოადგილედ დანიშვნამდე, 2019 წლიდან, რომეო მიქაუტაძე შპს „თბილსერვისჯგუფის“ დირექტორი იყო.

რომეო მიქაუტაძეს ენერგეტიკის სექტორში საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. 2009-2019 წლებში, ის წამყვან, ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობდა საჯარო უწყებებსა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ ენერგოკომპანიებში. მათ შორის, 2017-2018 წლებში, ჯერ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ხოლო შემდეგ ორი უწყების – ენერგეტიკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების შერწყმის შედეგად, გაერთიანებულ სამინისტროშიც მინისტრის მოადგილე გახლდათ.

2018-2019 წლებში, რომეო მიქაუტაძემ საქმიანობა განაგრძო საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორად, შემდეგ კი შპს „ენერგოტრანსის“ ხელმძღვანელად.

მინისტრის მოადგილეს ნამუშევარი აქვს სხვადასხვა ენერგეტიკულ კომპანიაში, მათ შორის, ისეთ ჰიდროელექტროსადგურებში, როგორებიცაა „ვარციხე ჰესების კასკადი“, „ზაჰესი“, „ხრამჰესები“, „ჩხოროწყუჰესი“.

მას, როგორც პროექტის ხელმძღვანელს, მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო ენერგეტიკის სექტორში განხორციელებული პროექტის – 110 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის – ჯახუნდერი-მესტიის მშენებლობისთვის.

მაკა რუხაძე

პოლიციამ გორში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული გ.ძ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ გორში, თავისივე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი, 1967 წელს დაბადებული ს.ქ., ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. პოლიციამ გ.ძ. ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ცხრა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე საბრძოლო მასალა ამოიღეს. დაკავებულია ცხრა პირი: 2001 წელს დაბადებული დ.ბ., 1979 წელს დაბადებული გ.ო., 1963 წელს დაბადებული ზ.ს., 1985 წელს დაბადებული ბ.თ., 1983 წელს დაბადებული ი.ს., 1984 წელს დაბადებული რ.გ., 1957 წელს დაბადებული ო.დ., 1995 წელს დაბადებული ი.მ. და 1986 წელს დაბადებული ი.მ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ბ.-ს პირადი ჩხრეკისას, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო გ.ო.-ს ბინის ჩხრეკის შედეგად, „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 47 ვაზნა ამოიღეს. ზ.ს., ბ.თ. და ი.ს. შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ზ.ს.-მ „გლოკისა“ და „ბერეტას“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტები უკანონოდ გაასაღა ნაცნობებზე – ი.ს.-სა და ბ.თ. -ზე. სამართალდამცველებმა ბ.თ. და ი.ს. თბილისში, ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს. პოლიციამ აღნიშნული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, „გლოკისა“ და „ბერეტას“ სისტემის უკანონო ცეცხლსასროლი პისტოლეტები ნივთმტკიცებად ამოიღო.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველო თანამშრომლებმა კიდევ ერთი ბრალდებულის ო.დ.-ს საცხოვრებელ სახლში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა ტიპის იარაღები და 42 ვაზნა ამოიღეს, ხოლო ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული, წარსულში ნასამართლევი რ.გ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია VOLTRAN BLOW Magnum Mod.2000-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და მჭიდი. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თერჯოლაში, ბრალდებული ი.მ.-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებული ი.მ.– ს პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად კი, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი გლუვლულიანი თოფი და 6 ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით, ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურასთან ერთად, ბორჯომსა და რუსთავში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი სამი პირი: 1975 წელს დაბადებული ლ.ჯ., 1982 წელს დაბადებული დ.წ. და 1977 წელს დაბადებული ნ.შ. დააკავეს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან ერთად, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, კრიმინალური ავტორიტეტი და ,,ქურდული სამყაროს“ აქტიური წევრი – 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.დ. თბილისში დააკავა.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირები – დაკავებული ლ.ჯ. და დ.წ., ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ერთ-ერთ ბიზნესმენს – პ.გ.-ს, სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსული მოგების დიდ ნაწილს სისტემატურად სძალავდნენ. ბრალდებულებმა, კრიმინალური გავლენის გამოყენებით, დაშინებითა და მუქარით, აღნიშნული ბიზნესმენის საქმიანობის სრულად მითვისება განიზრახეს, ასევე, მეწარმის შვილს კუთვნილი ავტომანქანა წაართვეს. ამის შემდეგ, დაზარალებულმა მეწარმემ, თავის მხრივ, დახმარებისთვის მიმართა ე.წ. „კანონიერ ქურდებს“, რომლებმაც გამომძალველების ქმედება შეაფასეს და „ქურდული გარჩევის“ გზით, ბიზნესმენის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღეს, კერძოდ, ლ.ჯ.-სა და დ.წ.-ს დაეკისრათ ავტომანქანის მესაკუთრისთვის დაბრუნება და მეწარმეზე ზეწოლის შეწყვეტა. აღნიშნული გადაწყვეტილების „ქურდული წესით“ აღსრულება კი, ბრალდებულ ნ.შ.-ს უნდა განეხორციელებინა.

სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, აუდიოჩაწერა განახორციელეს, სადაც ბრალდებულების დანაშაულებრივი ქმედებებია ასახული.

პოლიციამ ლ.ჯ., და ნ.შ. ბორჯომში, ხოლო დ.წ. რუსთავში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულების სახით დააკავა. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანა, მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც დაკავებულები ერთმანეთს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ სხვა პირებს უკავშირდებოდნენ.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს, იმერეთის პოლიციის მიერ დაკავებულ ი.დ.-ს, გამოძიებით დადგინდა რომ მან, როგორც კრიმინალურმა ავტორიტეტმა, ,,ქურდულ სამყაროში“ დადგენილი წესების შესაბამისად, მისთვის ეტაპობრივად 15 000 აშშ დოლარის გადახდა და ძვირადღირებული ავტომობილის დათმობა მოსთხოვა ქუთაისში მცხოვრებ მეწარმეს – დ.ზ.-ს, კონკრეტული ვადების დარღვევის შემთხვევაში კი ფიზიკური ანგარიშსწორებითა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ამის გამო, დ.ზ.-მ ბრალდებულს, ჯამში, 16 000 ლარი გადასცა.

ორივე ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა-მუხლით გრძელდება, რაც გამოძალვას, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვას გულისხმობს.

რა იყო 2021 წელს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა

მიშას დაბრუნება, ჯგუფური შიმშილობა და „სანტა ბარბარასავით“ გაწელილი კორონას ტალღები

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ახალი წელი კარს რომ მოგვადგება ხოლმე, ექსპერტები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, როგორც წესი, განვლილ 12 თვეს აფასებენ და ყველაზე მნიშნელოვან მოვლენებს გამოყოფენ. ამ მხრივ გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც 2021-ია და, ტრადიციულად, განვლილს ვაჯამებთ. რა იყო ყველაზე მნიშნელოვანი 2021 წელს? – ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია ანუ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა – ყოფილი მესამე პრეზიდენტი საქართველოში, როგორც იტყვიან, კონტრაბანდულად შემოვიდა, ესე იგი, ძებნილმა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი მალულად გადმოლახა, თან ეს ადგილობრივი არჩევნების წინ მოხდა. რატომ ჩამოვიდა სააკაშვილი? – ეს კითხვაც ბევრჯერ დასმულა, თუმცა ვინაიდან გასულ წელს ვაჯამებთ, მოდით, ყველაფერს თვალი ერთხელ კიდევ გადავავლოთ.

ზოგადად, მას შემდეგ, რაც სამშობლო დატოვა და საქართველოს მოქალაქეობაზეც უარი თქვა, მიხეილ სააკაშვილმა ძალიან ბევრჯერ დაიქადნა, აი, დავბრუნდები და „ოცნებას“ დავასრულებო, მაგრამ ყველა დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა კი, ვერ ვიტყვით, რომ მოულოდნელად, მაგრამ მაინც გამოგვეცხადა. ექსპერტთა ნაწილის ვარაუდით, სააკაშვილის დაბრუნების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მიხვდა, თუ წლევანდელ ადგილობრივ არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ ისევ დამარცხდებოდა, მაშინ მის პარტიას ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აღარასოდეს მიეცემოდა. მისი ჩამოსვლით კი, ერთგვარად, საპორტესტო მუხტს ასწევდა.

ამ მსჯელობაში ლოგიკა არის, მით უმეტეს, რომ არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც, გარემოცვის ნაწილი ექსპრეზიდენტს, თურმე, არწმუნებდა, როგორც კი ქართულ მიწაზე ფეხს დადგამ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქუჩაში გამოვა და ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეო, თუმცა ეს რომ ირაციონალური აზრი იყო, მიშა იმთავითვე უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ ვერ თუ არ მიხვდა და ის ნაბიჯი გადადგა, რომელიც გადადგა.

დაგეგმილი ჰქონდა თუ არა სააკაშვილს შიმშილობა საქართველოში დაბრუნებამდე? – ეს ზუსტად არავინ იცის, თუმცა შევთანხმდეთ, რომ ამ შემთხვევაში, შიმშილობა პოლიტიკური აქტი იყო, რომლითაც ყოფილმა პრეზიდენტმა დღის წესრიგის შექმნა სცადა და, პრაქტიკულად, გამოუვიდა ანუ პირველი ოქტომბრის შემდეგ (სწორედ ამ დღეს დაიჭირეს), მთელი ე.წ. ოპოზიციური მედია ახალ ამბებს მიშას თემით იწყებს და ამთავრებს.

მართალია, ქვეყანაში სხვა მნიშნელოვანი მოვლენებიც ხდება, მაგრამ ეს ჩვენებურ მედიას, ექსპერტებსა თუ პოლიტიკოსებს არ აინტერესებთ და ყურადღებას არც იმას აქცევენ, რომ უკრაინა-რუსეთის ურთერთობა წკიპზე ჰკიდია და თუ იქ რამე ცუდი მოხდა, ეს ავტომატურად ჩვენზეც აისახება, მაგრამ რა დროს ეს არის, როცა გლდანის ციხიდან გორის ჰოსპიტალში პოსტშიმშილობის რეაბილიტაციისთვის გადაყვანილი მიშა დღის წესრიგს ადგენს და ხან მეორე ექსპრეზიდენტ მარგველაშვილს ხვდება, ხან – თანამოაზრეებს და ხან კიდევ – ვის.

ისე, ამ კუთხით სააკაშვილი, მართლაც, პრივილეგირებული პატიმარია და მხოლოდ იმაზე წუწუნებს, რომ გორის ჰოსპიტალის პალატა, სადაც იმყოფება, საკნად არის გადაკეთებული. არადა, ამაში ალოგიკური არაფერია, რადგან ექსპრეზიდენტი მარტო ბრალდებული კი არა, მსჯავრდებულიცაა – საზღვრის უკანონო კვეთისთვის ჯერ სასჯელი არ შეფარდებია, მაგრამ სხვა საქმეებზე, საერთო ჯამში, 6 წელი აქვს მისჯილი და ამიტომაც არის იქ, სადაც არის.

სხვათა შორის, მთელ ამ ამბავში, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთი კითხვაა – რატომ დაიწყო დაჭერის შემდეგ სააკაშვილმა შიმშილობა?

შეგიძლიათ, ექსპერიმენტი ჩაატაროთ და რომელიმე, ყველაზე დაბალი გავლენის „ნაცს“ ეს კითხვა დაუსვათ. რა მოხდება? – იმ წამსვე, „ქოცად“ გამოგაცხადებთ და გეტყვით, რომ არაემპათიური ხართ.

შეიძლება, ემპათია მართლა არ გაქვთ, მაგრამ თავად „ნაცებიც“ კი, პირად საუბარში, გაოცებულნი არიან, ჩვენც ვერ გავიგეთ, მიშა რას აპროტესტებდა, ეს 6-წლიანი სასჯელი ახლა ხომ არ შეუფარდეს და თუ გასაპროტესტებელი იყო, ამდენი წელი ხმას რატომ არ იღებდაო?

ასეა თუ ისე, მიშამ 50-დღე იშიმშილა, ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. სამაგიეროდ, ენმ-ს ცენტრალურ ოფისში მისი ფანები ჯგუფურად შიმშილობენ. ზოგადად, საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ორი ასეული ადამიანი ერთდროულად შიმშილობს, რაც ბუნებრივია, პოლიტიკური აქტია ანუ ენმ ცდილობს, მსოფლიოს დაუმტკიცოს, აი, ნახეთ, ჩვენს ქვეყანაში როგორი უსამართლობაა, ამდენი ასეული ადამიანი სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს, ხელისუფლება კი წინ ნაბიჯსაც კი არ დგამსო.

ჩვენში დარჩეს და, ამ ჯგუფურ შიმშილობაზე ოპოზიციის სხვა ფრთებში იღიმიან, თუმცა ხმამაღლა არავინ არფერს ამბობს, რადგან არავის უნდა, მიშასთან ურთერთობა გაიფუჭოს.

ერთი სიტყვით, ოპოზიცია, უფრო სწორად, ენმ, პანდემიის მიუხედავად, ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ქვეყანაში რევოლუციური ვითარება შექმნას, მაგრამ ახლა 2003 კი არა, 2021 წელია (ჯერ კიდევ) და შესაბამისად, თვალნათლივ ჩანს, რომ ხალხს რევოლუცია კი არა, ევოლუცია უნდა.

ისე, პანდემია რომ არ ყოფილიყო, პოლიტიკური პროცესები, შესაძლოა, სხვანაირადაც განვითარებულიყო. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს მსგავსად, პანდემიიურ კალაპოტზე საქართველოც გადაეწყო. ამასობაში, „ომიკრონიც“ წამოგვეწია და უკვე აღარც კი ვიცით, ეს „ომიკრონი“ „სანტა ბარბარასავით“ გაწელილი კოვიდპანდემიის მერამდენე ტალღაა.

საერთოდ, პანდემიის დაწყებისთანავე, ყველა მიხვდა, რომ დედამიწაზე ახალი ერა დაიწყო, ერა, რომელსაც მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მოჰყვება. სხვათა შორის, ამ თემაზე ანალიტიკოსები ბევრს საუბრობენ და ამბობენ, რომ პოსტპანდემიური მსოფლიო პანდემიამდელი მსოფლიოსგან რადიკალურად განსხვავებული იქნება ანუ მარტო პოლიტიკაში კი არა, ეკონომიკაშიც და იგივე, ადამიანურ ურთიერთობებშიც ბევრი რამ გადაფასდება. ეს გადაფასებები კი, რაღა თქმა უნდა, ჩვეც შეგვეხება და ყველაფერს სხვა თვალით შევხედავთ.

აი, მაგალითად, თუ მომავალში 20-21 ივლისის მოვლენები, ღმერთმა არ ქნას და, კიდევ მოხდა, მხოლოდ საზოგადოების ნაწილი კი არა, არამედ, მთელი საზოგადოება ერთად დაგმობს.

ახლა, ვინც რა უნდა თქვას, 20-21 ივლისი საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო თარიღია. გასაგებია, რომ ზოგს ფერადი ახალგაზრდობა არ მოსწონს და თვალი ჩრდილოეთისკენ უჭირავს, მაგრამ ჯერ ერთი, ჩრდილოეთი ხსნა არ არის, მეორე და მთავარი: 21-ე საუკუნეში, ვინმეს გემოვნების რევიზია, უბრალოდ, სასაცილოა. დიახ, ადამიანი ისეთი უნდა იყოს, როგორიც უნდა, თუმცა ამ სურვილით სხვას ზიანი არ უნდა მიაყენოს, რადგან ნებისმიერი ჩვენგანის თავისუფლება, უტრირებულად რომ ვთქვათ, იქ მთავრდება, სადაც სხვისი ცხვირი იწყება!

ზოგადადაც, ალბათ, მოვიდა, დრო, ყველამ თავის ცხვირს მიხედოს და სხვისი ცხვირის განსჯა-გაანალიზებას თავი დაანებოს!

მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთი იყო 2021 წელი ანუ სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ამბებიც მოხდა. მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელშიც „ოცნებამ“ უკვე მერამდენედ გაიმარჯვა. ამასთან, გამოჩნდა, რომ ქართული ოპოზიცია არცთუ თანმიმდევრულია, მაგრამ ყველაფერი ეს დეტალებია, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეშმაკები სწორედ დეტალებში სხედან.

და რაკი ეშმაკები დეტალებში სხედან, ესე იგი, მომავალ წელსაც ბევრ პოლიტიკურ სიურპრიზსა თუ მოულოდნელობას უნდა ველოდოთ.

ჰოდა, წლის შეჯამებაც ილიას უკვდავი სიტყვებით დავასრულოთ:

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“

კი ბატონო, შეიძლება, გახარებისთვის ბევრი საბაბი არ გვაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ კორონამ უმრავი ადამიანი შეიწირა, მაგრამ ხომ იცით, ახალი წელი ახალ სიცოცხლესა და იმედთან ასოცირდება.

ჰოდა, ძვირფასებო, გილოცავთ დადეგს, ხვავი, ბარაქა, უფლის წყალობა და, რაც მთავარია, ჯანმრთელობა არ მოგვკლებოდეს!

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცოტნე გამსახურდია კოლხურ კოშკში დაბრუნებას შეძლებს

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

2019 წლის 19 დეკემბერს, ზვიად გამსახურდიას ვაჟი, ცოტნე გამსახურდია, საკუთარ სახლთან დაჭრეს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი, საბოლოო გამოჯანმრთელებამდე, მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესს ამ დრომდე უწყვეტად გადის. საგულისხმოა, რომ მთელი ამ რთული პერიოდის განმავლობაში, ცოტნე გამსახურდიას გვერდითაა მისი მეუღლე, ანა ჯაბაური, რომელიც პროფესიით ექიმია. ანა და ცოტნე თვეების მანძილზე იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ. თურქეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში მკურნალობის შემდეგ კი, ექიმების რეკომენდაციით, საქართველოში დაბრუნდნენ, რადგან მედიკოსებმა მიიჩნიეს, რომ რეაბილიტაციის პროცესში, ცოტნესთვის მშობლიურ გარემოში ყოფნა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია. საგულისხმოა, რომ ცოტნე გამსახურდიას აქამდე არ მიეცა კოლხურ კოშკში – მამა-პაპისეულ სახლში დაბრუნების საშუალება. მიზეზი, ალბათ, ყველასთვის ცნობილია და ზვიად გამსახურდიას ვაჟი ამჟამად წეროვანში, მიხეილ სააკაშვილის ყოფილ რეზიდენციაში ცხოვრობს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ანა ჯაბაურმა „ვერსიას“ ექსკლუზიურად განუცხადა, რომ გიორგი გამსახურდიამ კოლხური კოშკი სასამართლოს ძალით დაიბრუნა და მალე ცოტნე მშობლიურ სახლში დაბრუნებას შეძლებს. ამ და სხვა დეტალებზე გთავაზობთ ინტერვიუს ცოტნე გამსახურდიას მეუღლესთან:

ინტერვიუ ანა ჯაბაურთან

– როგორია ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა, სად ცხოვრობთ და რა პირობებში გადის რეაბილიტაციის პროცესს?

– ცოტნეს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ჯერ ეპილეფსიური სტატუსით გართულებამდელ მდგომარეობას ვერ მივაღწიეთ. ეს ნიშნავს, რომ ჯერ ლაპარაკი არ დაუწყია, მაგრამ ინტენსიურად ცდილობს. ისევ ვიმყოფებით მიხეილ სააკაშვილის ყოფილ რეზიდენციაში და ცოტნეს რეაბილიტაციას უტარებენ მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო-სარეაბილიტაციო ცენტრის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

– როგორც ცნობილია, ცოტნეს კოლხურ კოშკში დასაბრუნებლად, გიორგი იძულებული გახდა, სასამართლო დავა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან ჰქონოდა. ეს ინფორმაცია რამდენად შეესაბამება სიმართლეს?

– დიახ, სამწუხაროდ, ცოტნეს საკუთარ სახლში დასაბრუნებლად, გიორგი გამსახურდიას სასამართლოსთვის მიმართვა დასჭირდა. საბედნიეროდ, სასამართლომ სამართალი აღადგინა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგის მამისგან დანატოვარი კოლხური კოშკის ნახევარი დაუბრუნდა (მეორე ნახევარი ცოტნეს ეკუთვნის), რის შედეგადაც, ცოტნეს საკუთარ სახლში ცხოვრების საშუალება მიეცა. ასევე უნდა აღსრულდეს ზვიად გამსახურდიას დანატოვარი ერთადერთი ანდერძი – მან საკუთარი ქონება მხოლოდ ცოტნესა და გიორგის უანდერძა (აქვე აღვნიშნავ, რომ მესამე შვილი – კონსტანტინე, მან სიცოცხლეშივე უზრუნველჰყო ბინით, მანქანითა და სხვა საარსებო საშუალებებით). გარდა ამისა, ახლა სამივე ძმას საშუალება მიეცათ, საკუთარი სურვილისა და მისიის შესასრულებლად – აქციონ კოლხური კოშკი მუზეუმად და მნიშვნელოვან კულტურულ-შემეცნებით ცენტრად.

– რამდენად მნიშვნელოვანია ცოტნე გამსახურდიასთვის მშობლიურ სახლში ცხოვრება, მისი რეაბილიტაციის პროცესში?

– ცოტნესთვის კოლხურ კოშკში დაბრუნება იქნება უზარმაზარი პოზიტიური ბიძგი და ძვრა წარმატებული რეაბილიტაციისათვის, რამეთუ მას განსაკუთრებული სიყვარული და მიჯაჭვულობა აქვს საკუთარი სახლისა და კარ-მიდამოსადმი. ყველა მისი ახლობელია ამის მოწმე – ყოველ მტკაველ მიწას ამუშავებდა, ალამაზებდა, ეფერებოდა; რგავდა ახალ-ახალ ნარგავებს, ჩაყარა 180 ძირი ვაზი, რომელსაც თოთო ბავშვივით უვლიდა და ელოლიავებოდა (სამწუხაროდ, ეს ვაზი დღეს აღარ არსებობს, აჩეხილია და კოცონზეა დამწვარი). გერმანელი პროფესორებიც მუდმივად გვირჩევდნენ და გვიხსნიდნენ მე და ცოტნეს ძმებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, საავადმყოფოებში გატარებული წელიწადნახევრის შემდეგ, მისთვის საკუთარ სახლსა და გარემოში დაბრუნება. ახლაც ვეკონტაქტები მათ და ვერ ვეუბნები, რომ მათი რეკომენდაციის შესრულების საშუალება აქამდე არ გვეძლეოდა. დამეთანხმებით, ურთულესი ასახსნელი და გასააზრებელ-გასაგებია ყოველივე ეს.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად დაემორჩილება მანანა არჩვაძე-გამსახურდია სასამართლოს გადაწყვეტილებას?

– სხვის მაგივრად, პასუხს მე ვერ გაგცემთ. მსგავსი კითხვები, ალბათ, თავად ადრესატს უნდა დაუსვათ.

– გასაგებია... ხომ არ გეგმავთ რეაბილიტაციისთვის ისევ საზღვარგარეთ გამგზავრებას?

– ცოტნე 18 თვე მკურნალობდა თურქეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ კლინიკათა პროფესურის რეკომენდაციით დავბრუნდით საქართველოში და უახლოეს პერიოდში, არსად წასვლას აღარ ვაპირებთ. ახლა სახლში დაბრუნების დროა. ცოტნეს რეაბილიტაცია კი გერმანელი და აქაური რეაბილიტოლოგების შეთანხმებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს კიდევ უფრო ინტენსიურად, ვიდრე ეს თურქეთსა და გერმანიაში ხდებოდა.

„აფხაზურ ოპოზიციას საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება არ სურს!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

21 დეკემბერს, ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური ვითარება მკვეთრად გამწვავდა. სოხუმის ცენტრში, ადგილობრივმა ე.წ. უსაფრთხოების ძალებმა, „პარლამენტის“ წინ შეკრებილი მომიტინგე ადგილობრივები კვამლის გამშვები სპეციალური საშუალებებით დაშალეს – ამის შესახებ, „ბი ბი სი“-ს რუსული სამსახური „ინტერ ფაქსზე“ დაყრდნობით იუწყება.

ოკუპირებულ რეგიონში აქცია „აფხაზეთის სახალხო-პატრიოტული კავშირის“ ორგანიზებით გაიმართა და მომიტინგეები ე.წ. სამთავრობო შენობების წინ შეიკრიბნენ. აქციის მონაწილეები „უსაფრთხოების ძალების“ კორდონის გარღვევას და ე.წ. პარლამენტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ, მოედანზე შეღწევას ცდილობდნენ. არსებული ცნობებით, პერიოდულად სროლის ხმაც ისმოდა. აქციის მონაწილეები ე.წ. ხელისუფლებასა და დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კრიზისში, რეფორმების თაობაზე საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობასა და ოკუპირებული აფხაზეთის განვითარების პროგრამის არარსებობაში ადანაშაულებდნენ. დემონსტრანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ასლან ბჟანიას ქმედების გამო, რომელმაც მათთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. მანამდე, ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვალტერ ბუთბამ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მოსახლეობას თხოვნით მიმართა, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ „ოპოზიციის“ მიერ ორგანიზებულ აქციებში.

რა მდგომარეობაა ოკუპირებულ აფხაზეთში და როგორ შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური პროცესები? ამ საკითხზე „ვერსია“კონფლიქტოლოგსა და ექსპერტს კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

მამუკა არეშიძე ოკუპირებულ სოხუმში არსებულ კლანებზე

– შეიძლება ითქვას, რომ აფხაზებმა მიგვაჩვიეს ასეთი ტიპის არეულობას. იქ არაა ისეთი ვითარება, რომ საზოგადოებაში გამოჩნდა ახალი ძალა, რომელსაც ცვლილებები სურს. ეს არის კლანური დაპირისპირება, როცა ერთი კლანი ებრძვის მეორეს. მუდმივად ასეა, ბოლო წლების განმავლობაში.

– 21 დეკემბრის კადრებში ვხედავდით, რომ იყო საშიშროება, მოვლენები დამძიმებულიყო. რამდენად რთული ვითარებაა ახლა?

– ვერ გეტყვით, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდება. კვარჩიას 500 კაცზე მეტი არ ჰყოლია და ვერც ეყოლებოდა მიტინგზე. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კვარჩიასნაირ ადამიანებს, რომლებიც თავად არიან კორუფციის სისტემაში ჩართულნი, მთელი აფხაზეთი მხარს არ დაუჭერს. აქ ხომ იმაზეა ყოველთვის ლაპარაკი, რომ კონკრეტულ ძალას, რომელიც უტევს ე.წ. პარლამენტის ან მთავრობის შენობას, რამდენი ხალხის მოგროვება შეუძლია... როდესაც ამას ხაჯიმბა აკეთებდა, შეძლო და შეაგროვა იმდენი ხალხი, რომ შეცვალა ხელისუფლება. შემდეგ ხაჯიმბას წინააღმდეგ შეაგროვეს იმდენივე ადამიანი... ახლა კვარჩიას ჰყავს 500-დან 1000-მდე ადამიანი, ამ მხარდამჭერებიდან რაღაც ნაწილი გამწარებული ხალხია, ნაწილი კი – კლანის წარმომადგენელი. აფხაზეთი ხომ კლანურ მმართველობაზეა დაფუძნებული.

– თუმცა, საპროტესტო გამოსვლების მიზეზი სიღატაკე, სოციალური სიდუხჭირეა და გარედანაც კარგად ჩანს, რომ აფხაზეთში უამრავი პრობლემაა... შესაძლებელია, რომ სოციალურმა სიდუხჭირემ გააძაფროს საპროტესტო მუხტი მოსახლეობაში?

– ასეთი მდგომარეობაა სულ აფხაზეთში იმიტომ, რომ ელექტროენერგიის საკითხი ისევ არ მოგვარებულა და ვერც მოგვარდება. ბოლო დღეებია, დაიწყო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთიდან დენის შეტანა, თორემ მთელი ამ ხნის განმავლობაში, ძალიან რთულ კლიმატურ პირობებში იყვნენ ენგურზე დამოკიდებულნი და საშინელი მდგომარეობა იყო. ჩართული ვიყავით ამ საქმეში, სამწლიანი მოლაპარაკების ფორმატი გვქონდა აფხაზ კოლეგებთან, აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხზე. გარკვეული გარღვევა მოხდა საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსზრისით, თუნდაც ის, რომ მიხვდნენ, საქართველოს მხარე ამაში დამნაშავე არაა.

– ე.ი. გააცნობიერეს, რომ ე.წ. მაინინგია მათთვის ელექტროენერგიის შეზღუდვის მიზეზი, არა?

– არა მარტო „მაინინგი“... მინდა, მკითხველმაც იცოდეს, რომ ე.წ. მაინინგამდეც ასეთი მდგომარეობა იყო იმიტომ, რომ მოძველებულია ელექტროგადამცემი ხაზები. ელექტროენერგიის 30%-მდე ამ ხაზებში იკარგება და გარდა ამისა, გადასახადს არ იხდის არავინ. იქაური ე.წ. კანონის მიხედვით, ომის ვეტერანი გათავისუფლებულია დენის გადასახადისგან და, პრაქტიკულად, ტოტალური გადაუხდელობაა. გალის რაიონის ანუ ქართველების გარდა, იქ დენის ფულს, დაახლოებით, 62% არ იხდის და აქედან გამომდინარე, რა სისტემამ უნდა იმუშაოს?! ტელეფონის დამუხტვა რომ გინდოდეს, გალში უნდა ჩახვიდე, რადგან გაგრაში იმდენად დაბალი ძაბვაა, რომ ტრანსფორმატორის გარეშე, ვერაფერს გააკეთებ.

– გასაგებია... რაც შეეხება კან კვარჩიას, რომელიც ახლა ოპოზიციური გამოსვლების სათავეშია, რა ინფორმაციას ფლობთ მის შესახებ?

– კვარჩია იყო ელექტროსადგურ „ბესლეთის“ მფლობელი, ასევე, იყო ქალაქის მერი 2019 წელს და თუ რამეს გამკეთებელი იყო, მაშინ გაეკეთებინა. ახლა ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება „აიდგილარას“ ხელმძღვანელია და ოპოზიციონერობას თამაშობს, თორემ ეს ერთი დიდი პოლიტიკურ-კრიმინალურ-კლანური სეგმენტია, რომელიც ერთმანეთს ცვლის.

– და რა გამოდის, აფხაზეთში რუსეთმა „სადავეები მიუშვა“?

– რასაკვირველია... როგორც საქართველოში აწყობს, რომ იყოს მუდმივი პოლიტიკური პოლარიზაცია, ისე აწყობს აფხაზეთშიც, უფრო მარტივი არაა სამართავად? დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, ეს დაპირისპირებული მხარეები დგანან ცენტრში და გარშემო სულ რუსეთის ჯარებია. ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ, ისინი გვერდიდან უყურებენ და სიცილით კვდებიან, ეს 500 კაცი როგორ ებრძვის ერთმანეთს და ჩვენ ამ შემთხვევაში, პასიური მაყურებლის როლში ვართ. სხვათა შორის, უკვე მაყურებლის როლშიც აღარ ვართ, მაგრამ რა როლში ვართ, ვერ გეტყვით...

ამ პოლიტიკურ იწილო-ბიწილოში, რაც საქართველოშია გამართული, პრეზიდენტის ბოლო გამოსვლას ვგულისხმობ, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო ის, რაც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს არ აქვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკა და ესაა ტრაგედია!

– რადგან საუბარმა მოიტანა, გკითხავთ – საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარება გამწვავებულია, მესამე პრეზიდენტის პარტიამ საყოველთაო შიმშილობა გამოაცხადა და სწორედ ამ დროს, ოკუპირებულ სოხუმშიც დაიძაბა პოლიტიკური ვითარება. როგორ ფიქრობთ, უბრალოდ, დამთხვევაა, თუ შესაძლოა, ყველაფერი ეს, რუსეთის ინტერესებამდე მიდიოდეს?

– შეთქმულების თეორიიდანაც რომ არ გამოვიდეთ, შეგვიძლია ეს დავუშვათ იმიტომ, რომ დღეს გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებთან ერთად, რუსეთი უკიდურესად გააქტიურდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რუსეთის ჩართულობა ყაზახეთში, უკრაინაში, ბელორუსში, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოშიც. ეს არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, ეს არის ე.წ რბილი ძალის მეთოდოლოგია, სხვის ტერიტორიაზე სათავისო სიტუაციის მართვის ტექნოლოგია. ეს უნდა ვიცოდეთ და რა გახდა ასეთი გაუგებარი?! 30 წელია, შეიძლება, ერთსა და იმავე ფიცარს ვაბიჯებდეთ ფეხს?!

– ბატონო მამუკა, როდესაც ოკუპირებულ აფხაზეთში ოპოზიციური ძალები აქტიურდებიან, დანარჩენ საქართველოში ადამიანებს უჩნდებათ იმედი, რომ შესაძლოა, მოსახლეობამ გააცნობიერა იქ არსებული გამოწვევები და საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების გზას დაადგნენ. თქვენი ინფორმაციით, ამ მხრივ, აფხაზურ ოპოზიციას რა განწყობა აქვს?

– არავითარი პროქართული განწყობა და საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება არ სურთ. როგორც ვთქვი, ესაა კლანი. სხვა რამეშია საქმე, ჩამოვთვლი რამდენიმე აქტივობას, რომელიც დე ფაქტო ტერიტორიიდან წამოვიდა დანარჩენი საქართველოს მიმართ და ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ: პირველი, ეს იყო შამბასა და ბჟანიას განცხადებები პირდაპირ დიალოგთან დაკავშირებით. ამ ბოლო დროს, გამოქვეყნდა აფხაზი და ქართველი საზოგადოების ერთობლივი წერილი, რომელიც ასევე ორიენტირებული იყო ვითარების შეცვლაზე. არც ამას მივაქციეთ ყურადრება და საერთოდ, არ ვაქცევთ ყურადღებას, რაც იქიდან მოდის, რადგან ყველაფერი ითვლება რუსეთის „ეშმაკობებად“. კი, ბატონო, ეს, ალბათ, ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ ჩვენც რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ? თუ ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ „რბილ ძალას“, ჩვენ რატომ ვერ ვიყენებთ ვერავის წინააღმდეგ ამას?

– და თქვენ რით ხსნით ყველაფერ ამას ?

– ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პოლიტიკა რომ არ გვაქვს, ეს ჩანს იმ საკადრო საკითხებიდანაც, როგორიცაა, ვთქვათ, შერიგების სამინისტროში. რა ხელმძღვანელობაცაა, ის პოლიტიკა გვაქვს. ამ შემთხვევაში, შეურაცხყოფას კი არავის ვაყენებ, უბრალოდ, ვამბობ, რომ ის ხელმძღვანელი ვერ იქნებოდა იქ, რომ არ იყოს შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული. ამიტომ, გარკვეულ სიფრთხილეს ვხედავ საქართველოს ხელისუფლების ქმედებაში, მაგრამ სიფრთხილესაც აქვს თავის საზღვარი.

პრემიერ ღარიბაშვილის მოსვლის შემდეგ გამიჩნდა გარკვეული იმედი, რომ ამ მიმართულებით ცვლილებები მოხდება. პირადად ვიცნობ და ვიცი, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ჩანს, მინდა, თავი დავიმშვიდო იმით, რომ ეკონომიკური, პანდემიური და სხვა პრობლემებიდან გამომდინარე, ამ საქმისთვის ჯერ ვერ მოიცალა. თუმცა, თუ დიდხანს გაგრძელდა ასე, შეიძლება, ის პატარა ინიციატივაც კი დავკარგოთ, რომელიც დღეს გვაქვს.

– მოკლედ, სოხუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მართებს, ხომ?

– დიახ. გარდა ამისა, მთავარის თქმა მინდა – პრესამ, მედიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გალის რაიონს, სადაც დექართველიზაციის პროცესი მიმდინარეობს და ეს არის შეგნებული, გააზრებული პოლიტიკა, როგორც აფხაზების, ასევე, რუსების მხრიდან. ამის დაშვება არ შეიძლება, ამ ხალხს უნდა მივხედოთ!

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის ახალი მინისტრი

მაკა რუხაძე

ეკატერინე ტიკარაძეს ზურაბ აზარაშვილი შეცვლის. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე ხუთი შვილის მამა, 42 წლის ზურაბ აზარაშვილი წარადგინა. დღემდე, ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახლდათ, მანამდე კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს – „თბილავიამშენსა“ და „დელტას“ ხელმძღვანელობდა. შეგახსენებთ, ეს კომპანიები სამხედრო ტექნიკას აწარმოებენ.

„ვერსია“ დაინტერესდა, ვინ არის და რა ქონებას ფლობს ჯანდაცვის ახალი მინისტრი. თუმცა, ვიდრე მის მიერ, 2021 წლის 17 აპრილს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, გავიგოთ, აქვს თუ არა გამოცდილება ჯანდაცვის სექტორში. თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ზურაბ აზარაშვილი ESM-ის (მენეჯმენტის ევროპული სკოლა) ბაკალავრი და მაგისტრია. თავდაცვის სფეროში საქმიანობის დაწყებამდე ანუ 2000 წლიდან 2020 წლამდე, მხოლოდ საბანკო სფეროში ჰქონდა სამუშაო გამოცდილება. კერძოდ, სხვადასხვა წლებში, ზურაბ აზარაშვილი მუშაობდა ჯერ „თიბისი ბანკში“, შემდეგ „ქართუ ბანკში“, ამის შემდეგ „კორ სტანდარტ ბანკსა“ და სულ ბოლოს „ტერა ბანკში“, რომლის კომერციული დირექტორი გახლდათ. სწორედ „ტერა ბანკიდან“ გადაინაცვლა ჯერ „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორად, შემდეგ კი „დელტას“ გენერალურ დირექტორად.

42 წლის ზურაბ აზარაშვილის ჯანდაცვაში არასდროს უმუშავია, მაგრამ მისი წარდგენისას, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მინისტრობის ახალი კანდიდატი ექიმის ოჯახში გაიზარდა. პრემიერმა ისიც თქვა, რომ ზურაბ აზარაშვილს „ფინანსების მართვის დიდი გამოცდილება აქვს“, რომელიც „ძალიან ძლიერი მენეჯერია“.

ახლა ვნახოთ, რა ქონებას ფლობს ზურაბ აზარაშვილი. „დელტას“ გენერალური დირექტორის პოზიციაზე, 2020 წლის 10 მარტიდან 31 დეკემბრის პერიოდში, მან 58 362 ლარის შემოსავალი, ხოლო „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის პოსტზე – 2020 წლის 24 აპრილიდან 31 დეკემბრის პერიოდში – 46 199 ლარის შემოსავალი მიიღო. ქონებრივ დეკლარაციაში მითითებულია, რომ „ტერა ბანკის“ კომერციული დირექტორის პოსტზე – 2020 წლის 1 იანვრიდან 11 მარტის ჩათვლით, აზარაშვილმა 174 870 ლარი, ხოლო „დელტა ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლად მუშაობისას ანუ 2020 წლის 26 მარტიდან 31 დეკემბრამდე, 4 643 ლარი მიიღო.

ზურაბ აზარაშვილის სახელზეა რეგისტრირებული 500 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში, ბერტა ფონ ზუტნერის ქუჩაზე და 123.9 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ამავე მისამართზე, რაც 2017 წელს შეუძენია. მიწის ნაკვთი – 12 500 აშშ დოლარად, ხოლო სახლი – 27 500 აშშ დოლარად. გარდა ამისა, აზარაშვილის უფროსი შვილი, მარიამ აზარაშვილი თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე ფლობს 133 კვ.მ. ფართობის ბინას, რომელიც 2019 წელს, მამამ აჩუქა. ქალიშვილის ბინაში, ზურაბ აზარაშვილმა 250 000 ლარი გადაიხადა.

დეკლარაციის შევსების მომენტში, აზარაშვილის საბანკო ანგარიშებზე იყო 6 480 ლარი, 24 907 ევრო და 1 860 აშშ დოლარი. ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 15 000 ლარი და 5 000 აშშ დოლარი ერიცხება, რაც ავტომობილის რეალიზაციიდან მიუღია. დეკლარაციის შევსების დროს, აზარაშვილის მეუღლესა და შვილებს საბანკო ანგარიშებზე ჯამში 3 114 ლარი და 650 აშშ დოლარი ჰქონდათ.

რაც შეეხება ავტომობილებს, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ზურაბ აზარაშვილი ფლობს მსუბუქ ავტომანქანა „ტოიოტა კამრის“, რომელიც 2018 წელს, 55 000 აშშ დოლარად შეუძენია, ხოლო მისი უფროსი ქალიშვილის, მარიამის საკუთრებაშია „ტოიოტა პრადო“, რომელიც შვილს 2019 წელს აჩუქა და 54 000 აშშ დოლარი დაუჯდა.

პრემიერის გადაწყვეტილებით, წეროვანს სამრეწველო-ეკონომიკური სტატუსი მიენიჭება – პროექტს „თუში ქოლექშენი“ განახორციელებს

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სოფელ წეროვანში სასაწყობე შენობების, საოფისე სივრცეების, სასტუმროებისა და ავტოსადგომების მშენებლობები იგეგმება. ეს გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე მიიღო. კერძოდ, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილს – სოფელ წეროვანში მდებარე 232635.00 კვ.მ. ფართობს, განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი და სამრეწველო-ეკონომიკური სტატუსი მიენიჭება.



ვინ არიან „თუში ქოლექშენის“ დამფუძნებლები და კიდევ რომელ კომპანიებს ფლობენ ისინი საქართველოში

ეს სტატუსი სოფელ წეროვანის ტერიტორიას საერთაშორისო სტანდარტების „ბ“ კატეგორიის ლოგისტიკური პარკის მშენებლობის ხელშესაწყობად მიენიჭა. პროექტის თანახმად, რომელსაც შპს „თუში ქოლექშენი“ განახორციელებს, ლოგისტიკური პარკი 60 000 კვ.მ. ფართობზე მოეწყობა.

უფრო კონკრეტულად, „თუში ქოლექშენის“ პროექტი მოიცავს 6 სასაწყობე შენობას, მაგრამ ამავე ტერიტორიაზე, განთავსდება ინფრასტრუქტურა საოფისე სივრცეების, სასტუმროებისა და ავტოსადგურებისთვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ შპს „თუში ქოლექშენ“ 2017 წლის 27 ივნისს დაფუძნდა. კომპანიის ხელმძღვანელები და დამფუძნებლები დავით და ეკატერინე თუშიშვილები არიან, რომლებიც შპს „თუში ქოლექშენის“ 100%-იან წილს თანაბრად, 50-50%-ის ოდენობით ფლობენ.

საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ეკატერინე და დავით თუშიშვილები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან, რომლებმაც 2008 წელს, საქართველოში დააფუძნეს შპს „ჯი დი დეველოპმენტი“. თავის დროზე, ამ კომპანიის 75%-იან წილს ფლობდა ოფშორულ ზონაში, კერძოდ, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „გროუს დეველომენტ ენდ ინვესტმენთ ელთიდი“, ხოლო 25%-ს – დავით თუშიშვილი, დირექტორი კი ეკატერინე თუშიშვილი იყო. თავის მხრივ, „გროუს დეველოპმენტ ენდ ინვესტმენთ ელთიდი“ წილებს ფლობდა შპს „გ.დ. ალკოსა“ და „ქართულ სადისტრიბუციო მარკეტინგულ კომპანიაში“.

რაც შეეხება ეკატერინე და დავით თუშიშვილებს, შპს „თუში ქოლექშენის“ გარდა, მათ სახელზე, საქართველოში კიდევ რამდენიმე კომპანიაა რეგისტრირებული, კერძოდ: შს „ინოვაციური ტექნოლოგიები“, შპს „თუში კონსეპტი“, შპს „ტერმინალი“, შპს „ვერე კაფე“.

ირაკლი ღარიბაშვილისვე გადაწყვეტილებით, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ დედალაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორ მიწის ნაკვეთზე, რომელთა ჯამური ფართობი 108.07 ჰექტარია, ყოველწლიურად, ჩაის მოიყვანენ. ამ მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, კომპანიას ეს მიწები იჯარის უფლებით, 25-წლიანი ვადით გადაეცემა სარგებლობაში.

მაკა რუხაძე

ვისთვის არ ძვირდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა

სააბონემენტო მგზავრობის სისტემის დეტალები – რა იცვლება 2022 წლის 1-ელი თებერვლიდან

2022 წლის 1 თებერვლიდან, საზოგადოებრივ (მუნიციპალურ) ტრანსპორტში – მეტროში, ავტობუსსა და მიკროავტობუსებში სამგზავრო აბონემენტები დასჭირდებათ. თბილისის მერმა, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებლებისთვის ულიმიტო მგზავრობის სისტემა და შესაბამისი ტიპის ბარათები შეიქმნება. ნებისმიერ სიახლეს და მათ შორის, ამასაც საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ჰოდა, წინასაახალწლოდ, წლის ეკონომიკური მოვლენების შეჯამების ნაცვლად (წელს გამონაკლისი დავუშვათ და 2021 წლის ეკონომიკური მოვლენები 2022-ში შევაფასოთ), დეტალურად აგიხსნით იმ სიახლეს, რასაც მერია გვთავაზობს.

დავიწყოთ იმით, რომ 2017 წლიდან დღემდე, სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, თბილისში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ეს იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ, დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულად მოწესრიგდეს.

„მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას, თუ რა გავაკეთეთ ამ მიმართულებით: შეიქმნა ტრანსპორტის განვითარების გეგმა; ახლდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გამოიყოფა ე.წ. ბასლაინები, ველობილიკები; იდენტიფიცირებულია ათი ძირითადი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მგზავრთა ნაკადის ძირითადი ნაწილის გადაყვანას უზრუნველყოფს; ერთმანეთთან სინქრონდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი – მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი. გადახდის სისტემაც ერთიანი, ინტეგრირებული იქნება; განახლდა ავტობუსების პარკი; მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ახლდება მიკროავტობუსების პარკი; განხორციელდა ტაქსების რეფორმის ორი ეტაპი და მზადდება მესამე ეტაპის რეფორმა; შეიქმნა ახალი საპარკინგე სისტემა. ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმებით, ჩვენ ვქმნით თანამედროვე ტიპის სატრანსპორტო სისტემას, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ხარისხს, ამცირებს მგზავრთა გადაყვანის დროს, საცობებს და ჰაერის დაბინძურების ხარისხს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სწორედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლის 1 თებერვლიდან, მგზავრობის ულიმიტო სისტემა ამოქმედდება და შესაბამისი ტიპის სამგზავრო ბარათები შეიქმნება. რას ნიშნავს ეს? ტრანსპორტის სფეროში განხორციელებულ თუ განსახორციელებელ რეფორმებისა და განახლებულ სატრანსპორტო სისტემას გადახდის სისტემის განახლებაც სჭირდება. კახა კალაძის თქმით, იმ ტიპის სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც უფრო კომფორტულს, აქტიური მომხმარებლებისთვის უფრო იაფს და თანამედროვეს გახდის გადახდის სისტემას. აი, ამ მიზნით შემოდის გადახდის სააბონემენტო სისტემა და იმოქმედებს, როგორც 90-წუთიანი, ასევე, ერთთვიანი და ერთწლიანი სისტემები:

„ულიმიტო, 90-წუთიანი ბარათი (1 ლარი) განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ხშირად არ მგზავრობენ საზოგადოებრივ ტრანსპორტით და არ სჭირდებათ შეღავათიან ფასში ხანგრძლივვადიანი ბარათის შეძენა. ეს ადამიანები 90 წუთის განმავლობაში, 1 ლარად შეძლებენ ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, იქნება ეს მეტრო, ავტობუსი, თუ მიკროავტობუსი, სადაც გადაჯდომისას, 90 წუთის განმავლობაში, დამატებით თანხას არ გადაიხდიან; ულიმიტო, ერთდღიანი ბარათი (3 ლარი) – ერთდღიანი ბარათის მფლობელს შეეძლება, მთელი დღის განმავლობაში, ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავროს მხოლოდ 3 ლარად; ულიმიტო, ერთკვირიანი ბარათი (20 ლარი) – ერთკვირიანი ბარათის მფლობელს შეეძლება, მთელი კვირის განმავლობაში, ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა 20 ლარად. ეს ბარათი, ძირითადად, ტურისტებზეა გათვლილი; ულიმიტო, ერთთვიანი ბარათი (40 ლარი) – ერთთვიანი ბარათის მფლობელს შეეძლება, მთელი თვის განმავლობაში, ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავროს მხოლოდ 40 ლარად. ეს ჩვენი გათვლებით, ერთ-ერთი, ყველაზე მოთხოვნადი ბარათი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, ვინაიდან ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველაზე აქტიურ მომხმარებლებს, დღეში, საშუალოდ, ორი ტიპის ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ, რაშიც ყოველთვიურად, 50-60 ლარს იხდიან. აღნიშნული ბარათის მფლობელები კი ერთი თვის განმავლობაში, საშუალოდ, 10 ლარიდან 20 ლარამდე ეკონომიას გააკეთებენ); ულიმიტო, სამთვიანი ბარათი (100 ლარი) – ეს ბარათი კიდევ უფრო მაღალ ეკონომიას უზრუნველყოფს ტრანსპორტის აქტიური მომხმარებლებისთვის); ულიმიტო, ექვსთვიანი ბარათი – (150 ლარი) – ეს ბარათი კიდევ უფრო მაღალ ეკონომიას უზრუნველყოფს ტრანსპორტის აქტიური მომხმარებლებისთვის, ვინაიდან ამ ბარათის მომხმარებლის სატრანსპორტო დანახარჯი თვეში მხოლოდ 25 ლარს შეადგენს; ულიმიტო, ერთწლიანი ბარათი (250 ლარი) – ერთწლიანი ბარათის მფლობელს თვეში მხოლოდ 20 ლარად შეეძლება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით ულიმიტოდ სარგებლობა“.

პრობლემა და აჟიოტაჟი სწორედ ამ სისტემას მოჰყვა. ცხადია, ძალაში რჩება უფასო და შეღავათიანი მგზავრობაც, მაგრამ ეს არავის ადარდებს. კახა კალაძემ მერობა გაინაღდა და 50-თეთრიანი მგზავრობა 1 ლარამდე გააძვირაო, – ამას საზოგადოების ის ნაწილი გაყვირის, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სერთოდ არ სარგებლობს. დიახ, 2022 წლის 1 თებერვლიდან, მგზავრობა გაუძვირდება იმ ადამიანებს (90-წუთი – 1.00 ლარად), რომლებიც მეტროს, მიკროავტობუსს ან ავტობუსს კვირაში ერთხელ, ან თვეში რამდენჯერმე იყენებს. სამაგიეროდ, საკმაოდ დიდი შეღავათით ისარგებლებენ ისინი, რომლებსაც დღეში რამდენჯერმე და თანაც რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ.

დავუშვათ, ცხოვრობთ გარეუბანში და თანაც ისეთ გარეუბანში, სადაც არ არის მეტრო, მაგრამ მუშაობთ და ყოველდღიურად გიწევთ სამსახურში წასვლა. იმისთვის, რომ დანიშნულების ადგილამდე მიხვიდეთ, საუკეთესო ვარიანტში ორი ტრანსპორტის (ზოგჯერ სამიც, თუ ლილოს დასახლებაში ცხოვრობთ) გამოცვლა გჭირდებათ – მიკროავტობუსის, ან ავტობუსის, რომლითაც თქვენი სახლიდან მეტრომდე მიხვალთ და მერე ისევ ან მიკროავტობუსი (ავტობუსი) ან ყველაზე სწრაფი – მეტრო. სამსახურიდან სახლში დასაბრუნებლადაც ორი (სამი) ტრანსპორტის გამოცვლა გიწევთ. რასაკვირველია, თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი ერთთვიანი აბონემენტია, მაგრამ ყოველთვიურად 40 ლარის, თუნდაც სამ თვეში ერთხელ 100 ლარის, ან ექვს თვეში ერთხელ 150 ლარის გადახდას, გირჩევთ, გაიჭირვოთ და ერთწლიანი – 250-ლარიანი აბონემენტი იყიდოთ. თუმცა, თუ ამის საშუალება არ გაქვთ, სამთვიანსა და ექვსთვიანს შორის უნდა გააკეთოთ არჩევანი. დარწმუნებული ვარ, ის ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ მაღალი შემოსავალი, მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი სჭირდებათ, გაიჭირვებენ და მათი საჭიროებისდა მიხედვით, შეირჩევენ აბონემენტს. ოღონდ, ყველაზე მეტად ზუსტად ის ხალხი ჯავრობს, რომლებიც საკუთარი ავტომობილებით გადაადგილდებიან!

რაც მთავარია, უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მომხმარებელთა რამდენიმე კატეგორია ისარგებლებს. დავიწყოთ უფასო მგზავრობით, კალაძის განმარტებით, უფასო მგზავრობის უფლებით ისარგებლებენ თბილისში რეგისტრირებული უსინათლო პირები, მათი თანმხლები და გამცილებელი პირები; მოსწავლეები; უბნის ინსპექტორები და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული მთავარი სამმართველოს მოსამსახურეები; თბილისის მუნიციპალური ბაგა-ბაღების თანამშრომლები; თბილისში რეგისტრირებული სამხედრო ძალების ვეტერანები.

რაც შეეხება მგზავრობის შეღავათიან ტარიფს, დედაქალაქის მერმა განმარტა, რომ ამ უფლებით კვლავ ისარგებლებენ სტუდენტები, პენსიონერები და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები:

„შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით/ფასით (0.20 თეთრი) მგზავრობის უფლებით ისარგებლებენ თბილისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები; საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები; პენსიონერები, თბილისის საკუთრებაში არსებულ პოლიკლინიკებში დასაქმებული უბნის ექიმები, უბნის პედიატრები და ოჯახის ექიმები; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები. შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით/ფასით (0.10 თეთრი) მგზავრობის უფლებით ისარგებლებენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე, თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები“.

ქვეყნების ხუთეული, სადაც ჟურნალისტებს სდევნიან

გავლენიანი საერთაშორისო ორგანიაცოების ანგარიშები

რუსა ხავთასი

2021 წელს, მსოფლიოში პიკურ მაჩვენებლამდე გაიზარდა იმ ჟურნალისტების რიცხვი, რომლებიც პროფესიული საქმიანობის გამო დააპატიმრეს, – ამის შესახებ ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ იუწყება.

ყოველწლიური ანგარიში რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა და მასში ნათქვამია, რომ ამ დროისთვის პატიმრობაში მედიის 488 წარმომადგენელი იმყოფება, რაც 20%-ით მეტია, ვიდრე ერთი წლის წინ.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ასეთი მასშტაბი გამოიწვია სიტუაციის გართულებამ, პირველ რიგში, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბელარუსი, მიანმა და ჩინეთი.

როგორც ირკვევა, ბელარუსში წელს იმ ჟურნალისტების რიცხვი, რომლებსაც ხელისუფლება დევნის, 4,5-ჯერ გაიზარდა.

ბელარუსის მთავრობა უკანასკნელ პერიოდში იმავე მართვის სტილს ირჩევს, რომელიც მის მეზობელ რუსეთში, დიდი ხანია, ვლადიმერ პუტინის ხელწერად იქცა.

ლუკაშენკოს მიერ მასობრივი პროტესტების ჩახშობის შემდეგ, ბელარუსში, ერთ წელიწადში დაპატიმრებული ჟურნალისტების რიცხვმა 7-დან 32-მდე მიაღწია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მედიის წარმომადგენლები განიცდიდნენ აგრესიას და სერიოზულ ზეწოლას აქციების დროს, მათ არ ეძლეოდათ თავისუფლად გადაადგილების ან მუშაობის საშუალება, ისინი პოლიციის მხრიდან რეპრესიულ მიდგომის მსხვერპლები მუდმივად იყვნენ.

გავლენიანი ორგანიზაციის – „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ ანგარიშში ნახსენებია ტელეგრამ-არხის Nexta-ს ყოფილი რედაქტორი რომან პროტასევიჩიც, რომელიც 23 მაისს, ვილნიუსში მიფრინავდა, მაგრამ ბელარუსის ხელისუფლებამ თვითმფრინავი იძულებით მინსკში დასვა და პროტასევიჩი დააკავა. ის ამ დრომდე შინა პატიმრობაში იმყოფება იმ ოპოზიციური საქმიანობის გამო, რომლითაც ბელარუსში იყო დაკავებული.

ფაქტია, ლუკაშენკომ დამოუკიდებელ მედიას სერიოზული ომი გამოუცხადა და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ეს ხმა ჩაახშოს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მას არაფრით ჩამოუვარდება რუსეთის ხელისუფლება, რომელმაც ყველა ის მედია, რომელიც ხმას იმაღლებდა, „უცხოური აგენტის სტატუსით“ დააჯილდოვა და სერიოზულად შეუზღუდა საქმიანობა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ბელარუსი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პატიმრობაში უფრო მეტი ქალი ჟურნალისტი იმყოფება, ვიდრე მამაკაცი.

როგორც „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ აღნიშნავს, ეს ნიშნავს იმას, რომ ბელარუსის რეჟიმმა უარი თქვა „ტრადიციულ პატრიარქალურ თმენის ვალდებულებაზე ქალების მიმართ“, ვინაიდან სწორედ ქალების დიდი ნაწილი მონაწილეობდა საპროტესტო მოძრაობებში.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მინსკში დააკავეს, ეს პოლონური ტელეარხის „ბელსატის“ თანამშრომლები კატერინა ანდრეევა და დარია ჩულცოვა იყვნენ, რომლებსაც პროტესტების გაშუქების გამო, 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამას გარდა, ანგარიშში ნათქვამია, რომ ყველაზე მეტი ჟურნალისტი წელს ჩინეთში დააპატიმრეს, მათი რიცხვი 127-ია.

2020 წელს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც ჰონკონგში კონტროლის გამკაცრებაზეა ორიენტირებული, ამ რეგიონში 10-ზე მეტი ჟურნალისტი დააპატიმრეს.

რაც შეეხება მიანმას, 2021 წლის პუტჩის და მასობრივი პროტესტების შემდეგ, თავისუფლება 52 ჟურნალისტს აღუკვეთეს.

ასევე, იმ ხუთეულში, სადაც მსოფლიოს მასშტაბით, მედიის ყველაზე მეტი წარმომადგენელის დევნა მიმდინარეობს, აღმოჩნდნენ ვიეტნამი (43) და საუდის არაბეთი (31).

სამართალი

№48 29 დეკემბერი 2021 წ

24 წლის წამალდამოკიდებული ბიჭი, რომელმაც ორსული ცოლი სასტიკად მოკლა

2021 წელს მომხდარი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ფაქტები

ბათო ჯაფარიძე

2021 წელი სრულდება და კრიმინალური სტატისტიკის შეჯამებაც შეიძლება. სამწუხაროდ, უმძიმესი დანაშაულებით ეს წელიც გამოირჩევა – არასრულწლოვნების მკვლელობა, საქმის კვლავ „კანონიერ ქურდებთან“ გარჩევები, სულ ახლახანს, ორსული გოგონას სასტიკი მკვლელობა... 2021 წელს, პირველად დაფიქსირდა კატალიზატორების მასობრივი ქურდობა, რადგან ბაზარზე, მანქანის ამ ნაწილს სოლიდური ფასი აქვს და არის შემთხვევები, როცა კატალიზატორებში 10 ათას ლარსაც კი იხდიან. შესაბამისად, ბინის ქურდობას, სადაც არ იცი, რა დაგხვდება და რას წაიღებ, გარკვეულმა პირებმა კატალიზატორების მოპარვა ამჯობინეს და იყო შემთხვევა, როცა ერთი კორპუსის წინ, ერთ ღამეში 7 კატალიზატორი მოიპარეს. ამის მიუხედავად, სამართალდამცავებისთვის მთავარ გამოწვევად ნარკოდანაშაული რჩება.

წელს, ნარკორეალიზატორების დასაკავებლად, ათეულობით სპეცოპერაცია ჩატარდა, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ გაისადაც მთავარი გამოწვევა, სწორედ ნარკოდანაშაული იქნება. შს სამინისტრომ, გასულ კვირას, სხვადასხვა დროს ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებები გაანადგურა, რომელთა საერთო ღირებულება 37 მილიონ ლარს აჭარბებს.

მოდით, გადავხედოთ, რა დაწვა სპეციალურ ღუმელში შსს-მ: 23 კილო და 759 გრამი ჰეროინი, 12 127 აბი სუბოტექსი, 9 კილო კოკაინი, 220 გრამი „მდმა“, 347 გრამი მეტადონი, 1 ტონა და 655 კილო კანაფი, 1 ტონა და 15 კილო მარიხუანა „მდმა“-ს შემცველი, 1000 სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბი, 367 კაფსულა/ტაბლეტი „ტრამადოლი“, მეტადონის შემცველი, 896 გრამი კანაფის ფისი, 229 გრამი „ალფა პვპ“, 679 კაფსულა „პრეგაბალინი“, 260 გრამი ახალი ფსიქო-აქტიური ნივთიერება, 580 კაფსულა „ფსევდოეფედრინი“.

ჩამოთვლილთაგან საქართველოში, მხოლოდ მარიხუანა და კანაფის ფისი იწარმოება, თუმცა იმ ტონაზე მეტ განადგურებულ მარიხუანაში, შემოტანილი ნარკოტიკის ხვედრითი წილიც დიდი იყო. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც მარიხუანასადმი კანონი უფრო ლოიალური გახდა, მის მოყვანაზე უარს ბევრი არ ამბობს – ე.წ. ჰიბრიდული თესლით და სპეციალური საშუალებებით, ოჯახურ პირობებშიც გამოჰყავთ. მისი ყიდვა ბაზარშიც მარტივად შეიძლება, სადაც ნახევარლიტრიანი ქილა, დაახლოებით, 600-700 ლარი ღირს. იკრიბება ამ ბალახის მოყვარული 6-7 ადამიანი, ყიდულობენ ქილას და ინაწილებენ. შესაბამისად, კანონის ლოიალობა ვიღაცებმა საკუთარ ბიზნესად აქციეს.

წელსვე, საქართველოში, პირველად დაფიქსირდა დრონების საშუალებით კანაფის მოპარვის ფაქტები. ყველა შემთხვევაში, დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქე აღმოჩნდა ანუ სქემა ასეთი გახლდათ – კონკრეტული ადამიანები მოპედით მიდიოდნენ თბილისის შემოგარენში, სოფლების განაპირას, ჰაერში აწევდნენ დრონს და იღებდნენ ეზოებს. შემდეგ, ამ ჩანაწერს სახლში, კომპიუტერში შიფრავდნენ და თუ სადმე კანაფის ძირს დაინახავდნენ, ღამით მიდიოდნენ და იპარავდნენ. ამის ნიადაგზე, არაერთი კონფლიქტი მოხდა, რამდენიმე ასეთი ქურდი კანაფის მეპატრონეებმა დააკავეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ, თუმცა გვგონია, რომ კრიმინალების მიერ მოფიქრებული ეს სქემა ძალიან კარგად იმუშავებს ნარკორეალიზატორების გამოსავლენად. ბევრად უფრო ძვირადღირებული დრონით, ადვილი შესაძლებელია, იგივე ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი ისე, რომ ადამიანმა დრონი ვერ შენიშნოს. როგორც გვეუბნებიან, შს სამინისტრო ამ მიმართულებით უკვე მუშაობს და 2022 წელს, ე.წ. ჯაშუში დრონები ბევრი მიმართულებით იფრენენ.

ეს, რაც შეეხება ნარკოდანაშაულს, თუმცა მძიმე დანაშაულების პრევენცია ბევრად რთულია. სტატიი დასაწყისში, ბოლოს მომხდარი სასტიკი მკვლელობა ვახსენეთ და ახლა ირკვევა, რომ რამდენიმე თვის ორსული გოგონას ქმარი ფსიქოტროპულ წალმებს იღებდა და ჰალუცინაციები ჰქონდა. თავის დროზე, ის ნარკოდამოკიდებულიც ყოფილა და მოდით, ვაღიაროთ, 22 წლის ბიჭი მძიმე ნარკოტიკზე, უბრალოდ, არ და ვერ იქნებოდა, რადგან საამისოდ არც სახსარი გააჩნდა და ძვირადღირებულ წამალს საჩუქრადაც არავინ გაუკეთებდა. ყველაფერი მარიხუანით დაიწყო, რომელსაც შემდეგ ქიმიურ ხსნარებს ასხამენ ეფექტისთვის და ასე იწყება ჯერ ფილტვებში ნახვრეტების გაჩენა, შემდეგ – ჰალუცინაციები და ბოლოს, მივდივართ იქამდე, რომ რეალობისა და სხვა სამყაროს გარჩევა ერთმანეთისგან ჭირს.

ძალიან, ძალიან ცოტა ადამიანი თუ მოიხმარს სუფთა მარიხუანას, ძირითადად, ქიმიური მინარევებით იყიდება და ეს უდიდესი პრობლემა გახლავთ. ამ გადმოსახედიდან, კანონის გამკაცრება გამორიცხულია, მაგრამ შსს-მ აუცილებლად უნდა იფიქროს ამაზე, რადგან თავად ყველაზე უკეთ იცის, რომ ამოღებული მარიხუანას უდიდესი ნაწილი, სწორედ ქიმიური მინარევების შემცველია.

კატალიზატორების ქურდობის ფაქტებს რაც შეეხება, დამნაშავეების დაკავება სულ უფრო რთულდება. ძნელია, ღამით, ყველა ავტომობილის ქვეშ შეიხედო, ზემოდან კი არ ჩანს, მანქანის ქვეშ ქურდია შემძვრალი ხელის „ბარგალკით“, თუ ძაღლი. გამოსავალი ბაზრის უმკაცრესი კონტროლია და იმის გარკვევა, რამდენ კატალიზატორს აბარებს ერთი და იგივე პიროვნება. გაჭირვების გამო, შესაძლოა, ვინმემ საკუთარი ავტომობილიდან მოხსნას კატალიზატორი და ჩააბაროს, მაგრამ ერთი და იგივე პირადობით, თვეში ათი კატალიზატორი რომ ბარდება, ადვილი მისახვედრია, რომ საქმე მარტივად არაა და გადასამოწმებელია.

რამდენიმე დღის წინ, სტატისტიკაც დაიდო და, თურმე, 2008-2020 წლებში, საქართველოში, 72 ათასამდე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, 103 ათასზე მეტი ადამიანი დასახიჩრდა, 7 ათასზე მეტი კი გარდაიცვალა ანუ ყოველი მეათე საგზაო შემთხვევა მსხვერპლით სრულდება. ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისთვის კანონი, დაახლოებით, ისეა გასამკაცრებელი, როგორც ეს, მაგალითად, სამხრეთ აფრიკაშია. იქ ამისთვის, 10 ათასი დოლარით აჯარიმებენ და მართვის უფლებას სამუდამოდ ართმევენ, პლუს, თუ ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა, როგორც მკვლელობა, ეს ისე განიხილება და ნასვამ მძღოლს ციხეში წასვლა, მინიმუმ, ათი წლით უწევს.

იქნებ, ეს იყოს გამოსავალი და ასეთი მკაცრი კანონის შემდეგ, ნასვამი მძღოლების რაოდენობამ იკლოს.

იმავე სამხრეთ აფრიკის მაგალითზე, წელიწადში, ნასვამობის გამო ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი ორს არ აღემატება.

მშვიდობიან 2022 წელს გისურვებთ!

თბილისის გარეუბანში მამაკაცს სასქესო ორგანო მოაჭრეს

როგორ იძია მოძალადე მეგობარმა შური მეგობარზე და რატომ მოიკლა თავი გაუპატიურებულმა ქალმა

ბათო ჯაფარიძე

შიდსი მე-20 საუკუნის შავ ჭირად მოინათლა, თუმცა შიდსის პრობლემა დღესაც მწვავედ დგას. განსაკუთრებით, აფრიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ეს ვირუსი დღემდე უკონტროლოდ ვრცელდება. სხვათა შორის, მაშინ, როცა ამ ვირუსზე ღიად დაიწყეს საუბარი, საბჭოთა კავშირში თქვეს, რომ აღნიშნული დაავადება მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი, დიად საბჭოეთში კი სექსიც არ იყო და დაავადება როგორ გავრცელდებოდა?! ჩვენი ისტორიაც საქართველოში, შიდსის ერთ-ერთ პირველ შემთხვევაზეა, რომელიც საგულდაგულოდ მიჩქმალეს, თუმცა ფაქტია – ვირუსი ჩვენთან მაშინაც იყო და ახლაც იმაზე მეტია, ვიდრე ოფიციალური მონაცემებითაა ცნობილი.

1988 წლის მიწურულს, თბილისის გარეუბანში, მოქალაქეებმა მამაკაცის განწირული ყვირილი გაიგონეს. იმის მიუხედავად, რომ თოვლი იდო და შესაბამისად, შუქის ანარეკლზე ქუჩები განათებული გახლდათ, გარეთ გასვლა ვერავინ გაბედა, თუმცა განყოფილებაში 11-მა მოქალაქემ დარეკა. სამართალდამცავები ადგილზე, დაახლოებით, 15 წუთში მივიდნენ და ნათლად დაინახეს სისხლის კვალი, რომელიც ზოლად მიჰყვებოდა კორპუსს. დაზარალებული მამაკაცი არსად ჩანდა, თუმცა მილიციის თანამშრომლებმა უფრო მნიშვნელოვანი „სამხილი“ იპოვეს – თოვლში მამაკაცის მოჭრილი სასქესო ორგანო ეგდო. ასეთი რამ ნანახი არავის ჰქონდა და რაღა თქმა უნდა, მაშინვე საავადმყოფოებში დარეკეს – ყველა დარწმუნებული იყო, ასეთი ჭრილობით დაზარალებული აუცილებლად ექიმს მიაკითხავდა და შემდეგ საქმეც გაიხსნებოდა, მაგრამ სამედიცინო დახმარებისთვის ასეთი დაზიანებით არც იმ საღამოს მიმართა ვინმემ, არც – მეორე და მესამე დღეს. სამართალდამცავები ხელებს შლიდნენ, გამორიცხული იყო, სახლის პირობებში, ვინმეს ასეთი ჭრილობისთვის ემკურნალა. რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი – მამაკაცი, რომელსაც ორგანო მოაჭრეს, მოკლეს და სადმე გადააგდეს, ან დამარხეს.

მომხდარიდან მეოთხე დღეს, იმავე კორპუსის მაცხოვრებლებმა დარეკეს, საღამოობით, ერთ-ერთი ბინიდან ისეთი კვნესის ხმა ისმის, ან ვიღაც თავისით კვდება, ან კლავენო. სამართალდამცავები ინფორმაციას ყურადღებით მოეკიდნენ, ბინის კარზე დააკაკუნეს და როცა ფანჯრის გაღების ხმა გაიგეს, ერთმანეთს გადახედეს – მეექვსე სართულიდან გაქცევა შეუძლებლად ჩანდა, თუმცა მას, ვინც ფანჯარა გააღო, გაქცევა არც უცდია, მეექვსედან გადახტა და გაყინულ ასფალტს დაენარცხა. რა თქმა უნდა, ადგილზევე გარდაიცვალა და ისიც დადგინდა, ვის ეკუთვნოდა რამდენიმე დღის წინ ნაპოვნი „ნივთმტკიცება“ – ფანჯრიდან გადამხტარ მამაკაცს სასქესო ორგანო ჰქონდა მოჭრილი.

დაზარალებული გარდაიცვალა, შესაბამისად, არ შეეძლო მოეყოლა, რა მოხდა, მაგრამ სამართალდამცავები იმას ვერ ხვდებოდნენ, რატომ არ მიმართა ექიმებს და რატომ გადახტა ფანჯრიდან, როცა მილიციის თანამშრომლებმა მიაკითხეს?!

დაიწყო მისი გარემოცვის შესწავლა. გაირკვა, რომ გარდაცვლილი ცოლს რამდენიმე წლის წინ დაშორდა, თუმცა ცოლის მხრიდან შურისძიებაზე საუბარი ზედმეტი იყო – კაცი ალიმენტსაც პატიოსნად იხდიდა და ყოფილ მეუღლესთან ცუდი ურთიერთობა არ ჰქონდა. პარალელურად, ის უფულობას არ უჩიოდა, რადგან არცთუ იშვიათად, საერთაშორისო მივლინებაში დადიოდა, ძირითადად, აფრიკის ქვენებში, სადაც საბჭოთა კავშირი განათლებისა და განვითარების შეტანას ცდილობდა. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა და როგორც მეზობლები ამბობდნენ, თავის დროზე, ბევრი მეგობარი ქალიც. სწორედ ეს გახდა ცოლთან დაშორების მიზეზი, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მის სახლში ქალებმა სიარულს კი არ მოუკლეს, არამედ, საერთოდ გაქრნენ და ზოგადად, ყოველთვის გულღია და მხიარული კაცი, ბოლო ორი წლის მანძილზე ჩაიკეტა და მეზობლებსაც კი იშვიათად, ცალყბად ესალმებოდა.

ამასობაში, ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა – გარდაცვლილ მამაკაცს სისხლში უცნაური სხეულები ჰქონდა, ქართული მედიცინისთვის თითქოს უცნობი, მაგრამ მაშინვე ითქვა, რომ ეს, სავარაუდოდ, შიდსი იყო. ნიმუშები კვლევისთვის მაინც გადააგზავნეს მოსკოვში და იქაც დაადასტურეს, რომ მამაკაცს შიდსი ჰქონდა.

სავარაუდოდ, მან ვირუსი აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოიტანა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეგობრებში აფრიკელ ქალებთან სასიყვარულო თავგადასავლებზე ხშირად ჰყვებოდა, ვერსია რეალობასთან ახლოს იყო.

გაჩნდა ეჭვი, რომ მამაკაცმა ვირუსი ვინმეს აჰკიდა და სწორედ ამ „ვინმემ“ იძია შური, მაგრამ ვინ?

გარდაცვლილის უახლოეს მეგობრად მისივე კოლეგა ითვლებოდა, მამაკაცი, რომელსაც ცოლ-შვილი ჰყავდა და მაშინაც კი, როცა ის შინ ჩაიკეტა, მეგობარს არ მიუტოვებია და ხშირად აკითხავდა. სამართალდამცავებმა მეგობრის დაკითხვა გადაწყვიტეს, თუმცა მეზოიბლებმა უთხრეს, სამ თვეზე მეტია, ცოლ-შვილი საავადმყოფოში ჰყავს და ახლაც იქ იქნებაო. მილიციის თანამშრომლები საავადმყოფოში წავიდნენ და სრული ქაოსი დახვდათ – ექიმები აქეთ-იქით დარბოდნენ და ზოგს სისხლის გადასხმის სისტემა ეჭირა ხელში, ზოგს – მარლა და ბამბა. გაირკვა, რომელიღაც პაციენტს ვენები გადაეჭრა და ექიმები მის გადასარჩენად იბრძოდნენ. პაციენტი, ვინც თვითმკვლელობა სცადა, იმ კაცის მეუღლე აღმოჩნდა, რომლის დაკითხვაც მილიციის თანამშრომლებს სურდათ. მამაკაცი მოსაცდელში, სკამზე იჯდა და გულში პატარა გოგონას იხუტებდა, როცა ექიმი მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა – ვერ ვუშველეთ, გარდაიცვალა.

კაცმა ქვითინი მორთო, გოგონა მკერდზე უფრო მიიხუტა, თუმცა შვილთან განშორება რომ მოუწევდა, სამართალდამცავებმა უკვე იცოდნენ. ცხადი გახლდათ, ამ ორ გარდაცვალებას შორის კავშირი იყო და ამ კავშირის შესახებ, სწორედ მამაკაცს უნდა მოეყოლა. მას გამომძიებლების დანახვა არ გაჰკვირვებია, ჩუმად უთხრა, ბავშვს დედაჩემს დავუტოვებ და მერე სადაც გნებავთ, წამოგყვებითო. ოპერმუშაკები დათანხმდნენ, თუმცა მამა-შვილი მილიციის „ვილისში“ ჩასვეს და დანიშნულების ადგილზე ისე მიიყვანეს. კაცმა ბავშვი კიდევ ერთხელ მიიხუტა, დედამისს დაუბარა, შვილს მიმიხედეო და სამართალდამცავებს მორჩილად გაჰყვა.

„ის ნაძირალა ჩემი ბავშვობის მეგობარია, ერთად გავიზარდეთ, ერთად ვსწავლობდით, მუშაობაც ერთად დავიწყეთ. მისი ბავშვის ნათლია ვარ. რა თქმა უნდა, ოჯახებით ვმეგობრობდით და ჭირიც და ლხინიც ერთი გვქონდა. მისი ოჯახის დანგრევა ძალიან განვიცადე, მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან საყვარლებს ხშირად იცვლიდა. ცოლი მუდმივად ეუბნებოდა, წავალო და მართლაც, წავიდა. მერე, მეგობარი ცუდად გახდა, აქაურ საავადმყოფოში ვერაფერი გაუგეს, მოსკოვში წავიდა, იქიდან კი სრულიად შეცვლილი დაბრუნდა, ჩაიკეტა და აღარავის ეკონტაქტებოდა. მაინც არ მიმიტოვებია. ასე გრძელდებოდა წელიწადზე მეტი. მერე ჩემი ცოლი გახდა ცუდად, საავადმყოფოში მივიყვანე და ვერაფერი გაუგეს, თუმცა ეჭვი გამოთქვეს, რომ ეს შიდსის ვირუსი იყო. გამიკვირდა, საიდან უნდა შეხვედროდა შიდსი და რაც მთავარია, მის ერთგულებაში დარწმუნებული ვიყავი. შეგვამოწმეს მე და ბავშვიც, თუმცა ჩვენ არაფერი გვჭირდა. რამდენიმე დღის წინ, ცოლმა ექთანს წერილი გამოატანა. მეუღლე მწერდა, რომ დაახლოებით, ერთი წლის წინ, როცა იმ ნაძირალასთან ერთად, ჩემს სახლში ვქეიფობდით და ნასვამს დამეძინა, მან ჩემი მეუღლე გააუპატიურა. მერე კი მოინანა და ორივემ გადაწყვიტა, რომ ეს „გაუგებრობა“ არ უნდა გახმაურებულიყო. თვალთ დამიბნელდა და მეგობართან წავედი, მხოლოდ იმის გარკვევა მინდოდა, მართლა გააუპატიურა, თუ ყველაფერი ნებით მოხდა. მან დამიდასტურა, რომ ნასვამი იყო, ვერ მოზომა და ჩემს ცოლზე იძალადა. ჩხუბი დავიწყეთ, ის ეზოში გავარდა, მე გავეკიდე და სასქესო ორგანო მოვაჭერი. არ მეგონა, თუ საავადმყოფოში ან მილიციაში არ წავიდოდა, მაგრამ თქვა, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არ დამრჩა და სახლში მოვკვდებიო. ცოლსაც განაჩენი გამოტანილი ჰქონდა – ვირუსს ვერ გადაურჩებოდა და ტკივილებისა და ტანჯვის თავიდან ასაცილებლად, ვენები გადაიჭრა“, – დაასრულა კაცმა მოყოლა.

სასამართლომ მკვლელობაში ეჭვმიტანილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა მან ციხიდან გამოსვლა ვერ შეძლო – მალევე ფილტვები დაუზიანდა, ტუბერკულოზი შეხვდა და ამ დაავადებამ იმსხვერპლა.

ბათო ჯაფარიძე

არასრულწლოვანის გატაცება ახლაც კი ერთ-ერთ სასტიკ დანაშაულად ითვლება და ადრე, როცა ოფიციალურად, ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს უნდა ჰქონოდათ და დიადი კომინუზმიც მხოლოდ მომავალ თაობაზე ზრუნავდა, ბავშვის გატაცება არათუ სერიოზული დანაშაული იყო, არამედ, ასეთ საქმეებს, შესაძლოა, მინისტრიც გადაჰყოლოდა. რაღა თქმა უნდა, საქმეს მუდმივად ედო საიდუმლო გრიფი, რადგან საბჭოთა კავშირში ბავშვებს არ იტაცებდნენ. არადა, იტაცებდნენ და კლავდნენ კიდეც.

სასტიკი დანაშაული – მამამ 7 წლის შვილის გატაცება და მოკვლა დაგეგმა

რატომ ფიგურირებს საქმეში ბაბუა და როგორ გავიდნენ ძალოვანები დამნაშავეზე

ახალი წლის წინა დღეებში, განყოფილებაში შეტყობინება შევიდა, რომ 7 წლის ბიჭი ეზოდან გაქრა. ბავშვები თოვლში თამაშობდნენ და სამსახურდან დაბრუნებულმა მამამ სათამაშო მოედანზე შვილის ქუდი იპოვა, სახლში შევიდა და ცოლს ღიმილით ჰკითხა, შენმა ვაჟკაცმა ქუდი სად დაკარგაო? დედამ პირი დააღო, ბავშვი შინ არ მოსულა და თუ უქუდოდ თამაშობს, აუცილებლად გაცივდებაო. დედ-მამა ბავშვის მოსაძებნად ერთად გავიდა, მაგრამ მისი კვალი გაქრა. იქვე, მოშორებით იპოვეს ერთი ცალი დაბალყელიანი ჩექმა და კაშნე. ცხადი იყო, ბავშვი ტანსაცმელს ასე არ გაიხდიდა, ცალი ფეხსაცმლით და უქუდოდ თამაშს არ გააგრძელებდა. დედამ მაშინვე მილიციაში დარეკა და სამართალდამცავებიც ადგილზე გაჩდნენ.

„პირველ რიგში, ეზოს ბავშვები დაკითხეს და ერთ-ერთმა გაიხსენა, რომ გაუჩინარებამდე, დაახლოებით, ერთი საათით ადრე, ბავშვი ვიღაც მოხუც კაცთან ერთად დაინახა. კაცი ჯოხით გადაადგილდებოდა, ცალი ფეხით კოჭლობდა, თუმცა ბავშვს სახე არ გაურჩევია და ყურადღებაც არ მიუქცევია. ოჯახის წევრებს ვკითხეთ, ხომ არ ჰყავდათ სამეგობროში ისეთი, ვინც კოჭლობდა და თან მათთვის ცუდი უნდოდა, მაგრამ ვერავინ გაიხსენეს. ამის მიუხედავად, წამის მეასედში, მამაკაცის თვალებში რაღაც ისეთმა გაიელვა, მივხვდი, ხვდებოდა, ვისზე იყო საუბარი. საღამოს ტელეფონის ზარიც გაისმა, ბავშვის დაბრუნების სანაცვლოდ, ვიღაც 20 ათას მანეთს ითხოვდა“, – გვიყვება ერთ-ერთ რეზონანსულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მოულოდნელად, სამართალდამცავები ბინიდან წავიდნენ, აქაოდა, ბევრი საქმე გვაქვს, აქ ვერ დავრჩებითო. დიასახლისმა გაოცებისგან პირი დააღო, გაუკვირდა, ასეთ უბედურებას მარტო რომ შეატოვეს მილიციის თანამშრომლებმა და წყევლა-კრულვაც არ დააკლო. ამის მიუხედავად, გამომძიებლებმა ბინა დატოვეს და წავიდნენ. ეს მასკარადი ოჯახის უფროსის დასანახად მოეწყო, სინამდვილეში, ოპერმუშაკები კორპუსის გარშემო განლაგდნენ და ლოდინი დაიწყეს. მათ სჯეროდათ, რომ ოჯახის უფროსმა რაღაც იცოდა და იმ რაღაცის გასარკვევად აუცილებლად წავიდოდა. ასეც მოხდა, როგორც კი შებინდდა, მამაკაცი სახლიდან გამოვიდა, იქვე, „შემთხვევით“ მდგარ ტაქსიში ჩახტა და ქალაქის გარეუბნისკენ აიღო გეზი. გარდა იმისა, რომ ტაქსის საჭეს ოპერმუშაკი უჯდა, მას უკან ორი მანქანით გაჰყვნენ. გატაცებული ბავშვის მამამ ნახევრად დანგრეულ სახლთან გააჩერებინა მანქანა, თავად კი შიგნით შევიდა, თუმცა სანამ შევიდოდა, გზად ეზოში დაგდებული არმატურის ნაჭერი აიღო. როგორც კი მამაკაცი შენობაში მიიმალა, სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიჰყვნენ, თუმცა ჯერ დააცადეს, აინტერესებდათ, რა მოხდებოდა. შიგნიდან ჯერ ყვირილის ხმა ისმოდა, შემდეგ მუშტი-კრივი გაიმართა და მილიციის თანამშრომლებიც შეცვივდნენ. გატაცებული ბავშვის მამა არმატურის ნაჭერს ვიღაცას გამეტებით ურტყამდა და ალბათ, მოკლავდა კიდეც, მილიციის თანამშრომლებს რომ არ მიესწროთ. ორივე განყოფილებაში გადაიყვანეს.

„ის კაცი, ვის მოკვლასაც აპირებდნენ, გატაცებული ბავშვის ბაბუა ანუ ამ კაცის მამა იყო. თურმე, კაცმა ოჯახი მაშინ მიატოვა, როცა ბიჭი ჯერ კიდევ 4 წლის გახლდათ, დედამ ის წვალებით გაზარდა, თუმცა 16 წლის ასაკში, დედა სიმსივნით გარდაიცვალა და დარჩა მარტო. სოფლელი ბიჭი ქალაქში წამოვიდა, ჩააბარა და ცოლად ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გოგო მოიყვანა. სიმამრმა სასწავლებელიც წარმატებით დაამთავრებინა, ბინაც უყიდა და თბილ სამსახურშიც მოაწყო. ჰოდა, როცა კაცი მხრებში გაიშალა, მამა სწორედ მაშინ გამოეცხადა, აქაოდა, ცხოვრებამ დამანგრია, დავინვალიდდი და შენ უნდა მარჩინოო. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ არსებობდა კანონი, რომელიც ახალგაზრდებს მოხუცი მშობლებისთვის ალიმენტის გადახდას აკისრებდა. ჰო, მშობლებისთვის, თუ მათ ინვალიდის ცნობა ჰქონდათ. კაცი კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ მამა დაემუქრა, თუ ფულს არ გადამიხდი, სასამართლოში წავალ და მაინც გადაგახდევინებო. რადგან კაცი კოჭლობდა, შვილმა იფიქრა, რომ შვილიშვილი სწორედ ბაბუამ მოიპარა და ამიტომაც დაადგა თავზე“,-იხსენებს ბატონი თენგიზი.

თავის მხრივ, დაკავებულმა პირი დააღო, რა ბავშვის გატაცება, შვილიშვილს ხშირად ვნახულობდი, მუდმივამდ კანფეტი მიმქონდა და დღესაც ვნახე, კანფეტი მივეცი და წამოვედი, არ გამიტაცნიაო. რაც მთავარია, მთავარ ეჭვმიტანილს ალიბი ჰქონდა, ბავშვის ნახვის შემდეგ, ლუდხანაში იჯდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, სიმართლეს არ ამბობდა და ბავშვი გაიტყუა? მით უმეტეს, თუ ის ენდობოდა, მაგრამ თავის მხრივ, ეს მეორე ვერსიას გამორიცხავდა – ბავშვი ძალით წაიყვანეს, წაყვანის დროს ქუდი და ფეხსაცმელი დაკარგა. ამის მიუხედავად, ბაბუა პატიმრობაში დატოვეს, ბავშვის მამამ კი თქვა, რომ გარისკვას არ აპირებდა და 20 ათასს გადაიხდიდა. მართალიაა, მას ამდენი თანხა არ ჰქონდა, მაგრამ სიმამრის იმედად იყო და მართლაც, როცა შინ დაბრუნდა, ცოლმა 20 ათასი დაახვედრა, მშობლებმა მომცესო. კაცმა ფული აიღო და მილიციის თანამშრომლებს უთხრა, უკან არ გამომყვეთ, არ მსურს, ფულის გამო შვილის სიცოცხლით გავრისკოო.

„ბინიდან უკლებილვ ყველა წავედით და ტელეფონი მოსმენაზე დავტოვეთ. ბინასთან მხოლოდ მე დავრჩი, მოპირდაპირე კორპუსში, ძველ ნაცნობთან. სწორედ იქ უნდა დაერეკათ და ეთქვათ, სად შეთანხმდებოდნენ შეხვედრაზე გამტაცებლები და ბავშვის მამა. დაახლოებით, ორ საათში დარეკეს, შეთანხმება შედგა, კაცს ფული ცირკის ასასვლელ კიბეზე ღამით უნდა დაეტოვებინა. ყველაფერი ძალიან კარგად იყო გათვლილი – მაშინ არც იმხელა ხეები იდგა ცირკთან და კიბეზეც თავისუფლად შეიძლებოდა იმის დანახვა, ვინ ადიოდა და ჩადიოდა. ამიტომ, ბრძანება გავეცი და სიცივის მიუხედავად, ოპერმუშაკები ადგილზე თითქმის 5 საათით ადრე გავუშვი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი, რომელიც ცირკთან თავადაც წავიდა და ერთ-ერთი ხის ძირში, სპეციალურ კომბინიზონში შეფუთული გაისუსა.

დათქმულ დროს, ოჯახის უფროსი ცირკის კიბეზე გამოჩნდა, გარემო შეათვალიერა და ერთ-ერთი საფეხურის კუთხეში, ვითომ შემთხვევით დავარდნილი ქვის ქვეშ, მოზრდილი შეკვრა დადო და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გაეცალა. მომხდარიდან ათ წუთში, ცირკის კიბეს მძიმე ნაბიჯით ასაკოვანი ქალი შეუყვა, ქვას მიუახლოვდა, მშვიდად აიღო დასტა, ჩანთაში ჩადო და ქვევით ჩამოსვლა დაიწყო, როცა სამართლალდამცავებმა დააკავეს. ისინი კარგად ხვდებოდნენ, შესაძლოა, ქალი არაფერ შუაში იყო და მანაც ალალად თქვა – დაბლა კაცი მელოდება, 50 მანეთი მომცა, ასე მითხრა, ერთი ფეხი ხის მაქვს და ეგებ ჩემთვის დატოვებული ფუთა ჩამომიტანოო.

ოპერმუშაკები ფრთხილად დაეშვნენ მითითებული ადგილისკენ და ტაქსის წინ ნერვიულად მოსიარულე კაცი შენიშნეს. როგორც მან მილიციის თანამშრომლების მოახლოება იგრძნო, მაშინვე ტაქსიში ჩახტა და მძღოლს შესძახა, დროზე დაძარიო, მაგრამ ტაქსის მძღოლს პრობლემები არ სჭირდებოდა, მანქანის გასაღები გამოაძრო, ავტომობილიდან გადავიდა და გვერდით დადგა. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი მარტივად დააკავეს.

დაკავებული... ერთ-ერთი მინისტრის პირველი მოადგილის პირადი მძღოლი აღმოჩნდა. მისთვის დაძალებაც კი არ გახდა საჭირო, ისე დაიწყო მოყოლა.

„მე და გატაცებული ბავშვის მამა თანაკურსელები ვართ, თუმცა ბედმა ისე ინება, რომ მე მძღოლი ვარ, ის თბილ ადგილზე მუშაობს. ამას წინათ, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და ოჯახში დავპატიჟე, ჩემი ცოლის დაბადების დღე იყო. მინისტრის მოადგილესთან გადასარევი ურთიერთობა მაქვს და ისიც მოვიდა სტუმრად ცოლ-შვილით. სწორედ იქ გაიცნო მოადგილის შვილი, 20 წლის გოგონა და მერე გავიგე, თავბრუ დაახვია, სიყვარულს ეფიცებოდა. ბოლოს, მითხრა, ეგ გოგო ცოლად უნდა მოვიყვანო და ამას დავშორდე, კარიერული წინსვლისთვის მჭირდებაო. ცოლიც არანაკლებ გავლენიანი ოჯახის შვილი ჰყავდა, ამიტომ ბავშვის გატაცების ინსცენირება გადაწყვიტა, მერე იტყოდა, ასეთ სტრესში ვერ ვიცხოვრებ, სიმამრის გამო, მუდმივად საფრთხე გვემუქრებოდესო და ცოლს დაშორდებოდა. ის 20 ათასი კიდევ, ამ ახალი საცოლის მოსახიბვლად სჭირდებოდა. ბავშვი არსად გაუტაცია, ჩემთან ჰყავდა“, – დაფქვა დაკავებულმა.

სამართალდამცავები მაშინვე დაკავებულის ბინაში წავიდნენ, თუმცა დიასახლისმა უთხრა, ბავშვი მამამ წაიყვანაო. ახლა გატაცებულის სახლში მივიდნენ, მაგრამ იქ არავინ დახვდათ. სწორედ ამ დროს, განყოფილებაში უცხო ადამიანმა დარეკა, ქუჩაში ბავშვი ვნახე, დახმარებას მთხოვდა, მამა მოკვლას მიპირებსო. მოქალაქის მიერ დასახელებული მისამართი, ბავშვის ბაბუის სახლის მახლობლად იყო. ღამის, მთელი მილიცია იქით წავიდა.

„მოკლედ რომ გითხრა, ასე იყო: კაცმა გადაწყვიტა, ეს ოჯახი დაენგრია და ახალი ოჯახი კარიერის უკეთ განვითარების მიზნით შეექმნა. მთელი ეს ოპერაცია თავად მოიფიქრა, ბავშვი დაარწმუნა, რომ მის მეგობართან უნდა ყოფილიყო, რადგან ასე სჯობდა, შემდეგ კი სამოგზაუროდ წაყვანას ჰპირდებოდა. მამამისსაც მხოლოდ იმიტომ მიუვარდა, რომ ეჭვი გაუჩნდა, ხომ არ დაინახა ბაბუამ, როგორ გაჰყავდა მამას შვილი ეზოდან, მერე როგორ მოიტანა ბავშვის ფეხსაცმელი, კაშნე და ქუდი და როგორ დაყარა თავად. შემდეგ ბავშვი დავკითხეთ და მან პირდაპირ თქვა, რომ ბაბუის სახლში მიყვანის შემდეგ, მამა მას მოკვლას უპირებდა, გამოიქცა და პირველივე შემხვედრს დახმარება სთხოვა“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

სასამართლომ ბავშვს არ დაუჯერა ანუ მოსამართლეები ვერ დარწმუნდნენ, რომ მამას შვილის მოკვლა შეეძლო. ამიტომ, მას და მის მეგობარს, მხოლოდ თაღლითობის მუხლი წაუყენეს და 6-6 წელი მიუსაჯეს.

პოლიციამ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომხდარ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით სამი პირი – 1995 წელს დაბადებული ფ.ა., 1998 წელს დაბადებული ე.მ და 2001 წელს დაბადებული ქ.ო. დააკავეს.

ფ.ა.-სა და ქ.ო.-ს ბრალი ედებათ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება და დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა, ხოლო ე.მ. – დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვისაა დაკავებული.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულის სახით დაკავებულ პირებს, წარსულში არსებული კონფლიქტის გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარათაკლიაში, ნაცნობთან, 1984 წელს დაბადებულ რ.ზ.-სთან შელაპარაკება მოუვიდათ, რის შემდეგაც, ერთ-ერთმა ბრალდებულმა ფ.ა.-მ, რომელიც ქ.ო.-სთან და ე.ა.-სთან ერთად, ამ უკანასკნელის მართვის ქვეშ არსებულ ავტომობილში იმყოფებოდა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რ.ზ.-ს ავტომობილის მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა, მამაკაცს სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენა და თანმხლებ პირებთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი რ.ზ. სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებულია.

პოლიციამ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა შენახვა-ტარებისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად, ისეთი საშუალებით ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, სსკ-ის 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.



სამთო-სათხილამურო კურორტებზე მოთხილამურე პატრულებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებმა მუშაობა დაიწყეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა – მოთხილამურე პატრულებმა, ზამთრის კურორტებზე საზოგადოებრივი წესრიგისა და დამსვენებელთა უსაფრთხოებას დაცვის მიზნით, მუშაობა დაიწყეს.

მათთან ერთად, დამსვენებლების უსაფრთხოებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამთო მაშველები და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებიც იზრუნებენ.

მოთხილამურე პატრულებმა უკვე გაიარეს გადამზადების კურსი, 100-მდე თანამშრომელი გუდაურის, მესტიის (თეთნულდი, ჰაწვალი) და გოდერძის უღელტეხილის ზამთრის კურორტების სასრიალო ტრასებზე პატრულირებას განახორციელებენ.

მოთხილამურე პატრულები აღჭურვილნი არიან ყველა საჭირო ტექნიკით, რათა საჭიროების შემთხვევაში, დამსვენებლებს შესაბამისი დახმარება გაუწიონ.

სამთხო-სათხილამურო კურორტებზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები 2016 წლიდან მუშაობენ და ამ წლების განმავლობაში ასეულობით ადამიანს გაუწიეს დახმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 2 კილოგრამი „კოკაინი“ ამოიღო – დაკავებულია 12 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. მხოლოდ დეკემბერში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად – ცხრა პირი, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა – ორი, ხოლო თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა – ერთი პირი დააკავეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს: 1984 წელს დაბადებული ი. ჯ., 1967 წელს დაბადებული ს.შ., 1975 წელს დაბადებული კ.ქ., აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული რ.მ., 1985 წელს დაბადებული რ.გ., 1973 წელს დაბადებული ნ.ა. და 1984 წელს დაბადებული რ.ა., თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1974 წელს დაბადებული გ.გ. და 1971 წელს დაბადებული ა.კ. დააკავეს.

ჩამოთვლილი პირების გარდა, ნარკოდანაშაულისთვის, 2000 წელს დაბადებული გ.ქ., თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ხოლო 1980 წელს დაბადებული ზ.ბ. და 1986 წელს დაბადებული მ.გ. – აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა, საქართველოში უკანონოდ შემოტანა და ნარკოტიკების უკანონო გასაღების მცდელობა.

მიმდინარე თვეში, სამართალდამცველებმა 5 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 2 კილოგრამი „კოკაინი“ ამოიღეს.

2021 წლის 21 დეკემბერს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე-ოფიცრებმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თურქეთის მოქალაქე დააკავეს. მისი კუთვნილი ბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში მოწყობილ სამალავში 2 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება „კოკაინი“ იქნა აღმოჩენილი. ბრალდებული ტრანზიტული გადაზიდვის გზით ცდილობდა ნარკოტიკის საქართველოში შემოტანას.

გარდა ამისა, 15 დეკემბერს, სამართალდამცველებმა თბილისში დაკავებული პირის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 1 კილო და 600 გრამი „ჰეროინი“ ამოიღეს, ხოლო 16 დეკემბერს, ლაგოდეხში, ერთ-ერთი ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას – 2 კილო და 200 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინია“ ამოღებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტად კვლავ რჩება ნარკოდანაშაულის აღმოფხვრა და ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი ნარკორეალიზატორი მიმდინარე წელს დავაკავეთ.

გაგაცნობთ 2021 წელს, საქართველოს მასშტაბით ნარკოდანაშაულის მიმართულებით არსებული სტატისტიკურ მონაცემებს.

მიმდინარე წლის 22 დეკემბრის მონაცემებით, სულ დაკავებულია 136 ნარკორეალიზატორი.

ამოღებულია: 19 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 4 კილოგრამი „კოკაინი“, 5 ათასი აბი „სუბუტექსი“, 3 კილოგრამი „ალფა-პვპ“, 26 კილოგრამი „ბიო“ და სხვა სახის ნარკოტიკები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ საკანონმდებლო ცვლილებების კუთხითაც იმუშავა.

მნიშვნელოვნად გამკაცრდა სასჯელი ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლების მიმართ. ცვლილებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის მინიმალურ სასჯელად განისაზღვრა 10 წლიდან თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალურ ზღვარად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა დადგინდა.

საკანონმდებლო ცვლილებები აგრეთვე შეეხო ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო გასაღებას და იგი გაიმიჯნა აღნიშნული ნივთიერების უკანონო დამზადებისგან და შეძენა-შენახვისგან.

სეოკ-მა საუკეთესოები დაასახელა

წლის ბოლოა და ტრადიციისამებრ, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2021 წლის საუკეთესოები გამოავლინა. ველოდით, რომ წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულს კვლავ არ დათმობდა ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მომგები ლაშა ტალახაძე და ეს ლოგიკურიც იყო, თუმცა მასთან ერთად, სეოკ-მა ლაშა ბექაურიც გამოავლინა – ძიუდოისტი, რომელმაც ოლიმპიადაზე ქართული ჰიმნი ააჟღერა და წლის სპორტსმენებად, სწორედ ორივე ლაშა დასახელდნენ. რაც შეეხება სხვა კატეგორიებს:

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი – ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო);

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო მწვრთნელი – ლაშა გუჯეჯიანი(ძიუდო);

2021 წელს ქალთა სპორტში დასაქმებული საუკეთესო მწვრთნელი – ლალი დოლიძე – ჯანტეზი (მხატვრული ტანვარჯიში);

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო ფედერაცია – საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია;

2021 წლის აღმოჩენა, „ოლიმპიური იმედი“ – ლერი აბულაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა);

2021 წლის აღმოჩენა „ოლიმპიური იმედი“ – მარიამ ქერდიკაშვილი (კანოე);

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო სპორტსმენი სპორტის ზამთრის სახეობებში – მორის ყვითელაშვილი (ფიგურული სრიალი);

საქართველოს 2021 წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი სპორტის სათამაშო სახეობაში-გიორგი მაგრაქველიძე (წყალბურთი);

საქართველოს ოლიმპიური გუნდის მაღალი დონის სამედიცინო უზრუნველყოფისთვის – საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია;

2021 წლის საუკეთესო რეგიონალური ორგანიზაცია – სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია.

ოლიმპიურ მოძრაობაში მოპოვებული უნიკალური მიღწევებისთვის სპეციალური ჯილდო გადაეცა ნინო სალუქვაძეს.

დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სეოკ-ის სიგელებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ 2021 წლის იუბილარი სპორტული მოღვაწეები და ვეტერანი სპორტსმენები – ნონა გაფრინდაშვილი, არჩილ გოგელია, ჯემალ ძაგანია, ომარ გოგიაშვილი, გურამ საღარაძე, ნოდარ ხოხაშვილი და ედიშერ მაჩაიძე.

მამარდაშვილი „ვალენსიამ“ გამოისყიდა

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნააკრების მეკარე, გიორგი მამარდაშვილი ესპანური „ვალენსიას“ საკუთრება გახდა. უფრო ზუსტად, გიორგიზე სრული უფლება პირენეულ კლუბს მომავალი წლის 1 ივლისიდან ექნება, რადგან „დინამოს“ მის სანაცვლოდ გადასახდელ 850 ათას ევროს ორ ეტაპად მისცემს – 1 იანვარსა და 1 ივლისს.

მამარდაშვილი „ვალენსიასთან“ კონტრაქტს 3 წლით, 2025 წლის ზაფხულამდე გააფორმებს. მომავალში მისი წლიური ხელფასი გაიზრდება, თუმცა, ჯერჯერობით, მილიონ ევროს ვერ მიაღწევს. მიმდინარე სეზონში კლუბი მას ფიქსირებულ, ყოველთვიურ გადასახადს უხდიდა და დამატებით თანხას ბონუსად ურიცხავდა, როცა ის სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა.

ბათუმის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგისთვის მზადება დაიწყო



ბათუმის „დინამო“ საქართველოს ჩემპიონი ისტორიაში პირველად გახდა და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველად ითამაშებს. კლუბის პრეზიდენტმა, არჩილ ბერიძემ სეზონის დასრულებისთანავე თქვა, ჩვენი მიზანი მხოლოდ შიდა ჩემპიონატის მოგება კი არა, ევროსარბიელზე ხმამაღალი სიტყვის თქმაც არისო და კლუბმა მზადება უკვე დაიწყო.

აჭარული კლუბი უკვე დატოვეს მალხაზ გაგოშიძემ, რაფაელ ჩუკვურამ, გიული მანჯგალაძემ, ვაკო თევდორაძემ, ლაშა შინდაგორიძემ, ლუკაშ გროცურეკმა და გიორგი ნიქაბაძემ. რაც შეეხება ახალწვეულებს, „დინამომ“ გორის „დილადან“ ირაკლი ბიძინაშვილი დაიმატა, თბილისის „დინამოდან“ – მილან რადინი, ქობულეთის „შუქურადან“ – გიორგი რეხვიაშვილი, ხოლო ყაზახეთის პრემიერ-ლიგის „ქაისარიდან“ – 30 წლის მონტენეგროელი თავდამსხმელი, სტეფან დენკოვიჩი.

როგორც გვითხრეს, „დინამოში“ ჩაირიცხება ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი ჯანო ანანიძეც, რომელიც ტრავმებმა გააწამეს და ამის გამო, საკუთარი პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინა. 29 წლის შემტევი თუ ფორმაში იქნება, აჭარლებისთვის ძალიან, ძალიან სერიოზულ ძალად იქცევა და ვინ იცის, ეგებ, სეზონის მთავარი ტრანსფერიც ეს იყოს.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ორი წლის წინ, თბილისის „დინამოდან“ 40 ათას ლარად ნაყიდ ირაკლი აზაროვს მსურველთა რიგი უდგას და შვეიცარიული „ბაზელი“ და თურქული „ტრაბზონი“ მზად არიან, მის სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმცა ბათუმელები აზაროვის გაყიდვას არ ჩქარობენ და ამბობენ, რომ ირაკლი სწორედ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სჭირდებათ. ქართულ სინამდვილეში, 7 მილიონ ლარზე უარს რომ ამბობ და ამ ფასში 40 ათას ლარად ნაყიდ ფეხბურთელს არ ჰყიდი, ნიშნავს, რომ მართლა სერიოზული გეგმები გაქვს.

ტალახაძის ოლიმპიური რეკორდები ვეღარ შეიცვლება

მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აქტიურად განიხილავს ძალოსნობას ოლიმპიური სპორტის სახეობის სტატუსი ჩამოართვას. მართალია, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადაზე, ძალოსნები კვლავ იქნებიან წარმოდგენილნი, მაგრამ 2028 წლისთვის, შესაძლოა, სპორტის ეს სახეობა ოლიმპიურ სიაში აღარ იყოს.

ეგ კი არა და, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IWF), პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის წონითი კატეგორიები შეამცირა. ცვლილების თანახმად, პარიზულ ფიცარნაგზე ხუთ-ხუთი წონით იქნებიან წარმოდგენილნი ქალები და კაცები. კაცებში მედლების ხუთი კომპლექტი გათამაშდება -61, -73, -89, -102 და +102 კილოგრამ წონით კატეგორიებში. ქალთა ასპარეზობებისთვის კი -49, -59, -71, -81 და +81 კილოგრამები განისაზღვრა.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, მედლები შვიდ წონით კატეგორიაში გაითამაშეს, როგორც კაცებმა, ისე ქალებმა. ლაშა ტალახაძემ ოლიმპიური რეკორდები +109 წონით კატეგორიაში დაამყარა, რაც იმას ნიშნავს,რომ ამ რეკორდებს ვეღარავინ შეეხება და ის ისტორიის კუთვნილება გახდება. ახალი რეკორდების დამყარება კი ლაშას უკვე 2024 წლის ოლიმპიადაზე მოუწევს.

13 მილიონი და კვარაცხელია „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელია

3 იანვრიდან, ევროპასა და ბრიტანეთში სატრანსფერო ფანჯარა იხსნება. ყველაზე მეტად ქართველ გულშემატკივარს, რაღა თქმა უნდა, ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერი აინტერესებს. „რუბინის“ ფეხბურთელის გარშემო უკვე იმდენჯერ და იმდენი დაიწერა, რომ სათვალავიც აგვერია, მაგრამ ახლა საქმეში ბრიტანელი ჟურნალისტებიც ჩაერთვნენ და ღიად წერენ, რომ ზამთარში ჩვენებური ლონდონის „ვესტ ჰემის“ მაისურს მოირგებს. უფრო მეტიც, ისინი კონკრეტულ თანხას, 13 მილიონ ფუნტსაც ასახელებენ და იმასაც ამბობენ, რომ კლუბი ზამთრის სატრანსფერო სეზონში, მთლიანობაში, 45 მილიონ ფუნტს დახარჯავს, საიდანაც 13 მილიონი, სწორედ ქართველის შეძენას მოხმარდება.

რაც შეეხება ყაზანურ კლუბს, იქ არ მალავენ, რომ მათ რამდენიმე წინადადება სწორედ ინგლისიდან აქვს და „ვესტ ჰემის“ გარდა, პრემიერ-ლიგური „ლიდსიც“ სახელდება, თუმცა უფრო რეალურად, სწორედ ლონდონური კლუბის ვარიანტი მოსჩანს. მიმდინარე პროცესებზე კომენტარი თავად კვარაცხელიამაც გააკეთა.

„ტრანსფერზე ჯერ არ ვარ ინფორმირებული, არაფერი არ ვიცი წინასწარ... ვარ „რუბინის“ ფეხბურთელი და თუ რამე სიახლე იქნება, ამას ყველა ერთად გავიგებთ. განვაგრძობ მომზადებას, რათა სეზონი განვაახლოთ კარგად და წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია“, – განაცხადა ხვიჩამ.

რუსი ჟურნალისტები წერენ, რომ ქართველი მომავალი წლიდან რუსულ პრემიერ-ლიგაში აღარ ითამაშებს და მისი შემცვლელის ძიება ყაზანელებს უკვე დაწყებული აქვთ.

შეიხებმა ფეხბურთი მასხრად აიგდეს

მას შემდეგ, რაც ევროპულ კლუბებს არაბი შეიხები ყიდულობენ, ფეხბურთელებში გრანდიოზული თანხების გადახდა უცხო ხილი აღარაა. თუ ისინი რომელიმე ფეხბურთელს თვალს დაადგამენ და, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელიც მოითხოვს, მზად არიან გადაიხადონ ნებისმიერი თანხა, რომელსაც დაუსახელებენ და ფულს უბრალოდ არ ითვლიან. მართალია, ამის საკონტროლოდ ფიფამ ფინანსური ფეირ-ფლეი შემოიღო და კვოტები დააწესა, მაგრამ შეიხები მაინც ახერხებენ იმდენს, რომ სასურველ ფეხბურთელს ხელში იგდებენ.

ახლა არაბების საჯილდაო ქვად დორტმუნდის „ბორუსიას“ 21 წლის თავდამსხმელი, ერლინგ ჰაალანდი იქცა. ნორვეგიელი გოლების მანქანა „რეალის“, „ბარსელონასა“ და სხვა გრანდების ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ აქედანვე ცხადია, რომ მას ან ფრანგული „პსჟ“ გადაიბირებს, ან ინგლისური „მანჩესტერ სიტი“, რადგან რასაც ამ კლუბების მფლობელი შეიხები გადაიხდიან, ესპანურ გრანდებს, უბრალოდ, არც დაესიზმრებათ. საუბარია 250 მილიონ ევროსა და ხელფასის სახით, წლიურ 36 მილიონზე ანუ თვეში 3 მილიონ ევროზე.

ჰაალანდის აგენტი იმასაც ამბობს, ხელფასის გარდა, ჩემს კლიენტს უფლება უნდა ჰქონდეს, სარეკლამო კონტრაქტები დამოუკიდებლად გააფორმოსო, რაც დამატებით, მინიმუმ, 36 მილიონი იქნება და ისე გამოვა, რომ 21 წლის ბიჭი კვირაში მილიონზე მეტს მიიღებს.

დავით მურადიანი

(ეძღვნება სედას)

ჯერ კიდევ გუშინ, მეტროსთან, საახალწლო ნაძვის ხეს ჰყიდდნენ და კარომ (კაცის სახელი) ჯიბეებში დარჩენილი ფული გადათვალა, გული დასწყდა, რომ ვერ შეძლო ყიდვა. სახლი შორს არ იყო – ბევრი-ბევრი, რამდენიმე წუთის სავალ გზაზე, მაგრამ წასვლა-მოსვლის და მერე ისევ სახლში დაბრუნების სურვილი საერთოდ არ ჰქონდა, მითუმეტეს, რომ უკვე ბინდდებოდა და დღის მატყუარა მზის შემდეგ, ერთბაშად აცივებულიყო.

ახლაც ციოდა. შუადღე იყო, მაგრამ – მოქუშული. მეტროსთან კვლავ თევზის, ლიმნის, სიგარეტისა და სათამაშოების გამყიდველები ჩამწკრივებულიყვნენ, საახალწლო ნაძვის ხის კვალიც კი არსად ჩანდა. კაროს არ გაჰკვირვებია. უბრალოდ, გუშინდელი მწვანე, მიმზიდველი სიმრავლე გაახსენდა და გადაწყვიტა ცოტა დაღონებულიყო. რაზეა საუბარი, კარგი იქნებოდა, წინა საღამოს, თუნდაც ერთი პატარა, მაგრამ საუცხოო საახალწლო ნაძვის ხით ხელში რომ შესულიყო სახლში – თავისიანებისგან მოულოდნელად. მეუღლე და ქალიშვილი ნამდვილად გაიხარებდნენ, რადგან ეს მათთვის დიდი ხნის დავიწყებული ტრადიცია იყო. ერთი-მეორის მიყოლებით, უშუქო ზამთრის წლები დაგროვილიყვნენ და შავ კედლად აღმართულიყვნენ ძველ და ახალ ცხოვრებას შორის, კალანდის მოციმციმე ხე კი სამუდამოდ, თითქოს, სხვა დროში დარჩენილიყო.

– ორმოცდაათ დრამს ვერ მომცემ, ძმაო?

სქელ თავშალში გახვეული ვიღაც ქალი მასთან შეუმჩნევლად მისულიყო და მთხოვნელის მომლოდინე მზერით უყურებდა. კარომ ამჯერადაც ვერ შეძლო ღიმილის შეკავება. დის გამოგზავნილი ამერიკული პალტო, უდავოდ, შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთი თვეც არ არის, რაც ამ ძვირფას საჩუქარს იცვამს და აღმოაჩინა, რომ მისგან მოწყალების მთხოვნელთა რაოდენობა ზღაპრული სისწრაფით გაიზარდა.

– შენ კარგად იყავი, ძმაო, – თავშალიანმა ქალმა უკან დახევა სცადა, – თუ არა გაქვს, არა უშავს.

კარომ ორმოცდაათდრამიანი ვერ მონახა. იძულებული გახდა, ასდრამიანი მიეცა. ქალმა საჩქაროდ დალოცა და მოკლე ნაბიჯებით გაშორდა. ღმერთმა ქნას, სხვა კარგი პალტოც შენიშნოს, გაიფიქრა კარომ.

შეეძლო, რა თქმა უნდა, ბაზრისკენ გაევლო და საახალწლო ნაძვის ხე ეყიდა. ახალ წლამდე ორი დღე რჩებოდა. თოვლი არ მოდიოდა. „და არც გვინდა, – ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა კარომ, – დავიღალეთ“. და იქვე აღიარა, რომ თავის ნათქვამს სერიოზულად არ უდგებოდა, რადგან ის ახალი წელი, რა ახალი წელია – ნაზი და მსხვილი თოვლის ფანტელების გარეშე? როცა შუაღამეს ეზოში აღტაცებული დარბიხარ, ბენგალურ შუშხუნებს ანთებ, შამპანურს ხსნი, მღერი და ბიძია მიჰრანის „ფედ“-ი (ფოტოკამერა) კი სინათლის დამაბრმავებელი აფეთქებებით შენს ბედნიერ და გულწრფელ ღიმილს უკვდავჰყოფს.

კარომ სიგარეტს მოუკიდა. ფეხები ეყინებოდა, წინა წლების სამარისებური ზამთრის მოგონებებს აღუძრავდა, როცა ფეხსაცმელები განუწყვეტლივ ნესტიანი ჰქონდა და მარცხენა თირკმელი კი – შეთქმულივით უკვნესოდა. ფეხით უნდა ევლო ან მეტროში შესულიყო. მეტროსადგურ „მეგობრობიდან“ მატარებელი „სარდალ ანდრანიკის“ სადგურამდე ჩქარა მიიყვანდა, იქიდან კი ბაზრამდე მისასვლელად რაღა რჩებოდა? ხეირიანი საახალწლო ნაძვის ხე, ბევრი-ბევრი, ორი ათას ხუთასი დრამი თუ ეღირებოდა. მსგავსი ფუფუნების უფლება მშვიდი ნამუსით შეეძლო მიეცა საკუთარი თავისთვის, ვინაიდან დას მხოლოდ პალტო არ გამოუგზავნია მისთვის, არამედ – ფულიც და ახლა, იანვრის ბოლომდე მაინც, საზრუნავი ნაკლები ჰქონდა.

ერთი კვირის წინ, გრძელ და გაბმულ ზარებს ჰქონდა ადგილი – საქალაქთაშორისოს. ღამის საათებში. კარო იწვა, სანახევროდ ეძინა კიდეც, ნვარდიკს, მის ქალიშვილს წყალი გაეცხელებინა და აბაზანაში იყო შესული, ასე რომ, ყურმილი მისმა ცოლმა, ანაჰიტმა აიღო. რა თქმა უნდა, ატლანტიკის სანაპიროებიდან რეკავდნენ. ნიუ-იორკი, თავისუფლების ქანდაკება, მანჰეტენის ბოჰემა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მისი და იყო. ვიდრე გულაჩუყებული ანაჰიტი შეკითხვებს უსვამდა და თავადაც იმავე ემოციით პასუხობდა ოკეანისგაღმელის კითხვებს, კარო, დიდი ძალისხმევით გამოძვრა საბნის ქვეშიდან, შარვალი ჩაიცვა, მხრებზე ხელით ნაქსოვი ჯემპრი მოიგდო და შემოსასვლელში გავიდა. ერთი ტელეფონი შემოსასვლელში იდგა, დიდ სარკესთან, მეორე – სასტუმრო ოთახში, მაგრამ ანაჰიტი შემოსასვლელიდან ესაუბრებოდა და იქ კი, როგორც ყოველთვის, შედარებით უფრო ციოდა. „მოვიდა, – უთხრა ანაჰიტმა, – ეხლა გადავცემ და მას უთხარი“.

კარომ კარგად იცოდა, თუ რაზე იყო საუბარი, მაგრამ დამ სხვა რაღაცით დაიწყო. ჯერ ძმის ჯანმრთელობით დაინტერესდა, ჰკითხა, ამ ზამთარში თავს როგორ გრძნობდა, ისევ ხომ არ ახველებდა? „არა, – უთხრა კარომ, – ამ ზამთარს შუქი გვაქვს, ვახერხებთ, რომ მეტ-ნაკლებად სახლი გავათბოთ“. მერე დამ ჰკითხა, თუ დღეში რამდენ ღერს ეწევა. „ძველებურად, – გაიცინა კარომ, – ეგ ერთი რამ მიხდება, შენზე მომიყევი“. „ანაჰიტს მოვუყევი, გაიგებ, – მოკლედ მოუჭრა დამ და კაროს არ ეწყინა, ვინაიდან კარგად ესმოდა, რომ წუთები ფული ღირდა, – რა გადაწყვიტე?“.

კარო ფეხშიშველი იყო, ფლოსტებით. ანაჰიტი კედელს მიყრდნობოდა მხრებით და სარკეში მისი ლამაზი პროფილი ირეკლებოდა. კაროს მოეჩვენა, რომ მეუღლეს თმაში ჭაღარა მომატებოდა, იქნებ, განათების ბრალია? „არ გადამიწყვეტია, – უთხრა მან, – ვფიქრობ“.

სიგარეტი გვერდზე მოისროლა და მეტროში ჩავიდა. მჭექარე მუსიკა თავს დაატყდა. თანამედროვე სიმღერებიდან ერთ-ერთი იყო, კარგად ნაცნობი: ერთი ქალი პტეროდაქტილივით ჭყიოდა, რომ ის სომეხია, აღტაცებული მამაკაცი კი მსუყე ხმით ეხმიანებოდა, რომ ისიც – ასევე. „არა, რა, – თქვა გონებაში კარომ, – ამ შემთხვევაში, მე ჩემს ეროვნებას შევიცვლი“.

ვაგონი ხალხმრავალი არ იყო. დაჯდომა მოახერხა. მთელ ქალაქს ფეხდაფეხ შემოვივლი და საახალწლო ნაძვის ხეს მაინც ვიშოვნი – გადაწყვიტა. დაე, ეს იყოს ნიშანი იმისა, რომ ჩვენი გამყინვარების ეპოქა დასრულდა. ერთი რამ არის მხოლოდ ცუდი: მორთულ ნაძვის ხესთან სურათის გადაღება ვერ მოხერხდება. ბიძია მიჰრანი და მისი ერთგული „ფედ“-ი, დიდი ხანია, აღარ არიან, კაროს „ზორკ“-ი (ფოტოკამერა) კი ჩალის ფასად გაყიდეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ, დის გამგზავრებიდან მალევე.

ამ შემოდგომაზე დამ რამდენჯერმე დარეკა, უთხრა – ჩამოდიო. ანაჰიტი კაროს უყურებს და უსიტყვოდ უცდის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს. კარო კი, ჩვეულებრივ, ხუმრობაში ატარებს და დიდხანს დუმს.

დავით მურადიანი

მისი და მშვიდად წავიდა, ან თავის განცდებს, ალბათ, არ ამხელდა. „სადაც ჩემი მეუღლეა, მეც იქ უნდა ვიყო, – იმეორებდა და ყოველ დილას ინგლისურის გაკვეთილზე გარბოდა“. „საშინელი არაფერია, – ეუბნებოდა ანაჰიტს, – ორმოცდაერთი წლის ასაკშიც შესაძლებელია უცხო ენის სწავლა, სკოლაში ნასწავლიც დაგეხმარება“. მისი წინდახედული დედამთილი შეიძლებოდა უკვე ძირძველ ამერიკელად ჩაგეთვალა. ათი წელია, საცხოვრებლად უფროს ვაჟიშვილთან გადავიდა, რომელმაც, თავის მხრივ, სწორი გათვლებით, ემიგრანტის ქალიშვილი შეირთო ცოლად. დედამთილი თავისი შვილის მოსანახულებლად წავიდა და დარჩა. მერე უმცროსი ვაჟიშვილი და რძალიც სტუმრად მიიწვია. თავიდანვე ნათელი იყო, რომ მიწვეულები უკან აღარ დაბრუნდებოდნენ.

მატარებელი მეტროსადგურ „ახალგაზრდულზე“ გაჩერდა და მგზავრებმა ვაგონი ერთბაშად გაავსეს. კარო გვერდზე მიიწია, რომ ჩასუქებული ქალბატონისა და მისი შვილიშვილისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. ქალბატონი თავაზიანი აღმოჩნდა, მადლობა გადაუხადა. მერე შვილიშვილს უთხრა, რომ პირიდან თითი გამოეღო. „თუ არა, თოვლის ბაბუა საჩუქარს არ მოგცემს, ხომ არ დაგავიწყდა, ცოტა ხანში რომ უნდა ნახო?“ შვილიშვილი დაემორჩილა.

... შოკოლადის დიდ ყუთში ძველი ფოტოები იდო. ერთი განსაკუთრებით გამორჩეული: კარო დასთან ერთად, აიგესტანის (სოფლის დასახელება) მამისეულ სახლში, ბუნებრივია, საახალწლო ნაძვის ხესთან. დას თავისი ღიპიანი დათუნია ჰყავს ჩახუტებული, კაროს კი – და. ორივეს თვალები უბრწყინავს – ბენგალური ცეცხლივით. ბიძია მიჰრანს ოსტატურად აღუბეჭდავს ფოტოზე ცხოვრების ცოცხალი გაელვება, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, ფართო „პლანით“. სხვა ფოტოებიც არის, შორეული წარსულიდან, მამასთან და დედასთან ერთად გადაღებული. ამ სურათებში კარო და მისი და წლიდან-წლამდე იზრდებიან, მამა და დედა კი გარკვეულ დრომდე უცვლელნი რჩებიან. მერე არტაკი ევლინება ქვეყანას – მისი უმცროსი ძმა, მაგრამ ამის გახსენება საჭირო არ არის, ფრთხილად! მძიმე ქვაა, მაშინვე გაგჭყლეტს. უმჯობესია, თავის ქალიშვილზე გადავიდეს: სულის ბალზამი, შუბლზე კულულებჩამოყრილი, დედამისის – ანაჰიტის კალთაში ზის. ამ პერიოდში მამამისი უკვე ფოტოებიდან ქრება. საახალწლო ნაძვის ხე კი მუდმივად იგივეა – ბრწყინვალე მომავლის დაპირებებით შემკული, და ახლა, კაციშვილი არ არის, რომ გაბედოს და ანგარიში მოსთხოვოს მას იმ გულუხვი დაპირებებისთვის.

– „სარდალი ანდრანიკი“, – გამოაცხადა უხილავმა სპიკერმა.

კარო ვაგონიდან გამოვიდა. სადგურის ბაქანზე, ლატარიის ფერად-ფერადი ბილეთებით, გახსნილი მარაოსავით ხელში, ვიღაც მოხუცი იდგა და შეძლებისდაგვარად ხმამაღლა გაჰყვიროდა: „ახალი წლის უპრეცედენტო გათამაშებები“. ოთხივე მხარეს, ირგვლივ, ადამიანები დიდი და სავსე პარკებით იყვნენ – საახალწლო სუფრის სიკეთეებით დატვირთულნი, საჭმელ-სასმელით, კარო კი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიაბიჯებდა, მასასთან სრულიად შეუსაბამო. „საახალწლო ნაძვის ხით მაინც შემხვედროდა ვინმე, გავიგებდი, ტყუილად ხომ არ მივდივარ“.

„ტყუილად არ მივდივარ, – ამბობდა და, – ადრე თუ გვიან, თქვენც წაგიყვანთ. პირველი კარო წამოვა. მისნაირი ვირტუოზი მხაზველი საქმეს აუცილებლად იშოვის. რა ვუყოთ მერე, რომ ორმოცდახუთი წლისაა? მამაკაცისთვის ძალიან კარგი ასაკია, ჯერ კიდევ შესაძლებელია ახალი ცხოვრების დაწყება. წამოვა, ფეხს მოიკიდებს, მოეწყობა, ცოტა ფულს მოაგროვებს და თქვენი ჯერიც დადგება. ნვარდიკი ამასობაში სასწავლებელს დაამთავრებს, პიანისტის დიპლომს აიღებს, მუსიკოსებს თავისი წილი ლუკმა ყველგან აქვთ. სამაგიეროდ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანურად იცხოვრებთ. კიდევ როდის მოგვცემს ღმერთი სიცოცხლეს და ვინ იცის, მოგვცემს კი?“

ამ მონოლოგის ადრესატი ანაჰიტი იყო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, კაროსთვის იყო განკუთვნილი. კარო დას მდუმარედ უსმენდა, მორიგ სიგარეტს უკიდებდა და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად მწარე ღიმილით ამბობდა: „ყველა წავა და მე დავრჩები ერევნის მცველად“.

ყოფილი ოქტომბრის, ამჟამად, ტიგრან დიდის პროსპექტი, საიდან სადაო, ცივი, მჩხვლეტავი ქარით შეეგება. დღე უფრო მეტად იქუფრებოდა. ერევანი რაღაცნაირად რუხი გამხდარიყო და სქელი ღრუბლების ქვეშ მობუზული ჩანდა. იქნებ, ჩვენს გამოა ასე? გაიფიქრა კარომ და ამინდი არაფერ შუაშია? იქნებ, ჩვენ ვიცვლებით, შინაგან სინათლეს ვკარგავთ და ვერ ვახერხებთ ამ ქალაქის ჩვენით განათებას. გაიფიქრა და ინანა. ნაბიჯს უმატა. არ ღირდა მოსამართლედ ყოფნა. არ ღირდა საჭიროზე ადრე დაბერება, მხრებზე ცხოვრების მქადაგებლის გრძელკალთიანი მოსასხამის მოგდება ან თავჩაქინდრული უკან დახევა – საკუთარ ჩრდილს ჩაბღაუჭებული. შეძელი თავისუფალ ადამიანად ყოფნა. დიდი სამყაროს ადამიანად. ერთ დროს გამოგდიოდა, ყოველგვარი გაჭირვების გარეშე, სუნთქვასავით, თავისთავად. ლურჯ, მაგარყდიან ატლასს მუხლებზე იდებდი და – აიგესტანის პრეისტორიული ეზო, ფართოდ გაშლილი ტოტებით თუთის ხე, გრძელი და გაჭიმული საზაფხულო არდადეგები – და უშიშარი ნაოსნობა მდინარე ჰუდსონის შესართავიდან ინდიელთა ყველაზე შორეულ დასახლებამდე, მაროკოს კლდოვანი ნაპირებიდან პირენეის ნახევარკუნძულამდე ან მსოფლიოს მეორე მხარემდე, შენი მრავალტანჯული და სასოწარკვეთილი თანამგზავრების გასაგონად კი მთელი ძალით შეძახილი: „მონტევიდეო, ვხედავ მთას“...

ასე რომ, სანამ დროა, დატოვე და წადი. ეს პროსპექტი მედისონ ავენიუზე გაცვალე, ახლა ხომ თვითონ ხარ დაღლილი და იმედგაცრუებული. თუ არადა, შენი ყველა მოგზაურობები უწინდელივით მარტო ატლასში დარჩება. შეხედე, შენმა დამ რა კარგად აითვისა ცხოვრების გაკვეთილები. ნიუ-ორკი, ბრუკლინი, ბროდვეი, რუსული წიგნების მაღაზია. რა სწრაფად და წარმატებულად მოეწყო, ახლა აკსიონოვისა და დოვლათოვის ტომებს ჰყიდის. ყოჩაღ! ღმერთმა ქნას, სამსახური არ დაკარგოს, ჯანმრთელი იყოს, თვეში ერთხელ დარეკოს. კარგი გოგოა, გასაჭირში დგომა ყოველთვის იცოდა, ახლაც ეხმარება, შესაძლებლობა ექნება – უფრო მეტს გააკეთებს. მაგრამ ყველა ისევ რატომ გავიფანტეთ? ასეა, ახლა ვის სახლშიც არ უნდა შეხვიდე, ერთი ან ორი ოჯახის წევრი მაინც ჰყავს გარეთ, ქვეყნიდან წასული, ერთ დროს კი, პირიქით, ნელ-ნელა სახლში ვბურნდებოდით, თავს ვიყრიდით.

გასაკვირი იყო, ამხელა გზა გამოიარა და ამერიკული პალტოსთვის ფულის მთხოვნელი არ შეხვედრია. ალბათ, ძალიან სწრაფად და მოღუშული მივაბიჯებ, დაასკვნა კარომ. შენობის თაღქვეშ გავლისას, მოულოდნელად, თეთრი „მერსედესი“ გამოჩნდა, სწრაფად მოძრაობდა, კარომ ძლივს მოასწრო ადგილზე დალურსმვა. მანქანამ სიჩქარე მოთოკა, საჭესთან და მის გვერდით მჯდომმა კაროს ალმაცერად გადახედეს, აშკარად უკმაყოფილოდ, რომ ამ ტროტუარით გავლა მას თავში მოსვლია. კარომაც შეხედა მათ მრგვალ, დიდ, უკისრო თავებს – ხორციან მხრებზე მჭიდროდ დასმულთ. უკვე ჩვეულებრივად ქცეული სანახაობა იყო, ასეთები ახლა უფრო და უფრო ხშირად გხვდებიან, მძიმედ, მედიდურად მოძრაობენ, მისალმებისას ერთმანეთს მადიანად კოცნიან, ჯიბეში აწკრიალებულ ტელეფონს ჩახლეჩილი ხმით პასუხობენ, ჯგუფურად დგანან თავისივე ახალგახსნილი მაღაზიებისა და კაზინოების წინ – ერევნის ძველი და ლამაზი შენობების პირველ სართულებთან, რომლებსაც, ვითომდა, ნიშანდობლივი ფუფუნების გამოსახატად, ლაპლაპა, მკვეთრი მწვანე ფილებით აპირკეთებენ.

„არტაკს რომ ისინი ენახა, მეორეჯერ მოკვდებოდა“, – გაიფიქრა კარომ. მაგრამ ის ადრე დაიღუპა, პირველივე შეტაკებების დროს. ვის შეეძლო მისი სახლში გაჩერება? დედა უკვე აღარ იყო ცოცხალი. რომც ყოფილიყო, სულ ერთია, გადამწყვეტი ჟამი იდგა. უჩუმრად წავიდა, მოხალისედ ჩაეწერა, კაროსთან მივიდა, დაკბილულძირიანი ჩექმები სთხოვა: ჩეხური იყო, თითქმის სულ ახალი, კაროს მოსკოვში ჰქონდა ნაყიდი, ძალიან მოსახერხებელი იყო იმით ზამთარში მივლინებაში წასვლა, უთხრა – „ვაი და ვიში არ გავიგო, ახლა რომ არ ვიომოთ, მერე გვექნება ვაი და ვიში საძახებელი“. რამდენი წელი გავიდა? მის დაკარგვას ვერ შეურიგდა. მაგრამ როგორ აუხსნას დას, რომ არტაკი აქედან წასვლის ნებას არ რთავს? არც დღეს, არც ხვალ, და არც არასდროს, რადგან კარო თუ ადგება და წავა, ეს ნიშნავს, არტაკი ტყუილად დაიღუპა. ნიშნავს, რომ შენი თავგანწირვა ზედმეტია, თუ შენს მოდგმას ამ მიწაზე ცხოვრება არ უნდა.

ნამდვილად, „გუმ“-ის სავაჭრო ცენტრის წინ, საახალწლო ნაძვის ხეები ჩაემწკრივებინათ. დიდი გროვა იყო, მყიდველი კი – ცოტა. მათ შორის თავისი ქალიშვილი – ნვარდიკი შენიშნა. კარო გაჩერდა. გოგო ზურგით იდგა, მამას ვერ ხედავდა. გვერდით მდგომ ახალგაზრდას რაღაცას ეუბნებოდა, რომელსაც მხარზე სპორტული ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. მერე მათ შერჩევა დაიწყეს. ახალგაზრდა ხელს ყველაზე მსხვილ ხეებს ჰკიდებდა, ნვარდიკი კი ეუბნებოდა: „არა, სჯობს პატარა და კოხტა იყოს, ჩვენს ოთახებს დიდი არ უხდება“.

მათ ძლივს ორი ნაბიჯი თუ აშორებდათ. ღმერთო ჩემო, რიდის გაიზარდა? გაიფიქრა კარომ. შიგნით ჩაღვრილმა თბილმა დინებამ ზამთრის სიცივე დაავიწყა. ნვარდიკი შემობრუნდა. კარო თვალის მოუცილებლად უყურებდა. გოგოს სახეზე გაკვირვება, მერე ღიმილი, მერე კი დაბნეულობა შეეტყო. უცნობი ახალგაზრდაც შემობრუნდა. კარო ადგილზე დარჩა. ნვარდიკი მივიდა.

– საახალწლო ნაძვის ხეს ვყიდულობთ, – თქვა მან, – აზატს (ბიჭის სახელი) ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ ჩემთვის ნამდვილი ნაძვის ხე ეჩუქებინა. შენ ბაზარში მოხვედი?

– დაახლოებით, – უპასუხა კარომ და რაც შეიძლება მშვიდად და სხვათა შორის ჰკითხა, – აზატი ვინ არის, ერთად სწავლობთ?

– მომავალი ცნობილი რეჟისორი, – მხიარულად გაიცინა ნვარდიკმა, – ერთად არ ვსწავლობთ. ის თეატრალურშია, ჩვენი სასწავლებლის გვერდით.

– გასაგებია, – თავი დაუქნია კარომ.

აზატიც მივიდა. ნვარდიკმა უთხრა: „გაიცანი, ეს მამაჩემია“. კარომ აზატს ხელი ჩამოართვა. უცნაური ახალგაზრდა იყო: სუფთად გაპარსული, კევს არ ღეჭავდა, შუბლი ვიწრო არ ჰქონდა და ტუჩებზე – მრუდე, იქედნური ღიმილი.

– ნვარდიკმა ერთხელ მითხრა, რომ საახალწლო ნაძვის ხესთან სურათის გადაღება უყვარს, – აზატი გაჩუმდა, ალბათ დაფიქრდა, სწორად დაიწყო თუ არა საუბარი? მერე კი დაამატა, – დამდეგ ახალ წელს გილოცავთ.

– მადლობელი ვარ, – უპასუხა კარომ, – ასევე.

– ჩვენ პირდაპირ სახლში წავალთ, – უთხრა ნვარდიკმა, – შენც ჩვენთან ერთად წამოხვალ?

– თქვენ წადით, – არ შეეწინააღმდეგა კარო, – დედაშენი სახლშია. მე ჯერ საყიდლებზე უნდა შევიარო – ხილი და სხვა რამეები.

აზატს დაემშვიდობა და ბაზრის მხარეს გადაუხვია, თუმცა კი არაფრის ყიდვის საჭიროება არ არსებობდა. თავისი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. უნდოდა მოულოდნელი საჩუქარი გაეკეთებინა ცოლისა და ქალიშვილისთვის – არ გამოვიდა.

ბევრი რამ არ გამოვიდა და ისე არ მოხდა. თუნდაც ერთი მთელი, აწ უკვე განვლილი ცხოვრება, ზამთრის დღესავით სწრაფწარმავალი, გავიდა და მოგონებად იქცა. „მაგრამ, განა სხვანაირად ხდება?“, – ფიქრებში იკითხა კარომ. ალბათ, არა. მაგრამ იქნებ, ნვარდიკისთვის მაინც მოიძებნოს რაიმე გამონაკლისი.

1999 წელი

ნახატის ავტორი: ირმა კუხიანიძე

საუკეთესო ქვეყანა პენსიონერებისთვის

პორტალმა Our Life Plan-მა, ახალი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ის ქვეყნები დაასახელა, სადაც პენსიონერებს საუკეთესო ცხოვრება აქვთ. რეიტინგში პირველ ადგილზეა არაბთა გაერთიანებული საემიროები, მეორე ადგილზე – ავსტრალია, ხოლო მესამეზე – ისრაელი. სიის შედგენისას, ისეთი ფაქტორები გაითვალისწინეს, როგორებიცაა ბედნიერების რეიტინგი, ცხოვრების საფასური, საშუალო თვიური ხელფასი, საშუალო წლიური ტემპერატურა და წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა. ამ მაჩვენებლების მიხედვით, საემიროებში საშუალო წლიური ტემპერატურა 27 გრადუსია, მზე წელიწადში 3 508 საათს ანათებს – ამ და სხვა კარგი მაჩვენებლების კრიტერიუმებით, ქვეყანა საუკეთესოდ დასახელდა პენსიონერებისთვის.

საუკეთესოთა ხუთეულშია, ასევე ბაჰრეინი და საუდის არაბეთიც. ევროპული ქვეყნებიდან პორტალი პენსიონერებს საცხოვრებლად კვიპროსს ურჩევს – აქ საკმაოდ მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, საშუალო ტემპერატურა წელიწადში 19.6 გრადუსია. გარდა ამისა, კუნძული ცნობილია თავისი პლაჟებით, რესტორნებითა და ძველი ქალაქებით. სიის ათეულში მოხვდნენ ესპანეთი, მალტა, კოლუმბია და ტაილანდი.

ვირუსს კიდევ ერთი ვაქცინა შეებრძოლება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრისთვის კიდევ ერთი ვაქცინა მოიწონა. ეს COVAX-ია, რომელსაც ინდოეთში აწარმოებენ ამერიკული კომპანია Novavax-ის ლიცენზიით. როგორც ჯანდაცის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განცხადებაშია ნათქვამი, კიდევ ერთი ვაქცინა აუცილებელი იმპულსია იმ ძალისხმევისთვის, რაც დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში უამრავი ადამიანის აცრისთვისაა საჭირო. ჯანმო-ს თანხმობა აუცილებელი პირობაა, რომ პრეპარატი COVAX-ის პროგრამით გავრცელებადი ვაქცინების სიაში მოხვდეს და მისი საერთაშორისო შესყიდვები განხორციელდეს.

არჩეული დეპუტატი საზეიმო სროლებს შეეწირა

პაკისტანში, ადგილობრივი თვითმმართველობის ახლად არჩეული დეპუტატი, მისი გამარჯვების აღსანიშნავი საზეიმო სროლების შედეგად მოკლეს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, მოჰამედ ზაქრია ხანსანდეი პეშავარის რაიონში აირჩიეს. მისი მხარდამჭერები არჩევნებში წარმატებას სროლებით აღნიშნავდნენ, რა დროსაც შემთხვევით, რამდენიმე ტყვია დეპუტატს მოხვდა და გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყეს.

თმის სამაგრში გაცვლილი სახლი

TikTok-ის ბლოგერი, დემი სკიპერი ტენესის შტატში, კერძო სახლის მფლობელი საკუთარი პროექტის – Trade Me Project-ის წყალობით გახდა. ყველაფერი კი ერთი უბრალო თმის სამაგრით დაიწყო. გასული წლის მაისში, სან-ფრანცისკოში მცხოვრებმა 30 წლის სკიპერმა, საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ მზად იყო, ეს თმის სამაგრი რაიმე უფრო ღირებულში გაეცვალა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ უჩვეულო შეთავაზებას გამოხმაურება მალევე მოჰყვა და სამაგრის სანაცვლოდ, მას იაფფასიანი საყურე შესთავაზეს, რომელიც დემიმ კოქტეილ „მარგარიტას“ ოთხ ჭიქაზე გაცვალა. ამის შემდეგ, ჭიქები სარფიანად გაცვალა მტვერსასრუტზე...

ასე დაიწყო ონლაინ-გაცვლების სერია, რა დროსაც სკიპერი დროებით ხდებოდა სხვადასხვა ნივთის – ბიჟუტერიის, აიფონის, სამი ტრაქტორის... მფლობელი. საბოლოო მიზანს ბლოგერმა გასულ კვირას, 28-ე გაცვლის შედეგად მიაღწია – ტრაილერის სანაცვლოდ, მას უკვე მყუდრო ეზოიანი საკუთარი სახლი აქვს. თითქმის ყველა გაცვლა ინტერნეტით განახორციელა. ამ გზით საწადელის მიღწევისკენ დემის კანადელი კაილ მაკდონალდის წარმატებამ უბიძგა – კაილი ავტორია პროექტისა „ერთი წითელი სკრეპი“. 2006 წელს, 14-ეტაპიანი გაცვლით, მაკდონალდმა უბრალო საკანცელარიო სკრეპი საკუთარ სახლად აქცია.

„ვიაგრა“ ალცჰაიმერის წინააღმდეგ

ყველასთვის ცნობილი, იმპოტენციის საწინააღმდეგო პრეპარატი „ვიაგრა“, შესაძლოა, ალცჰაიმერის დაავადების სამკურნალოდ გამოიყენონ. „ბი ბი სი“-ს ინფორმაციით, სწავლულებმა კლივლენდის უნივერსიტეტიდან, 7.2 მილიონი ადამიანის ექვსწლიანი სამედიცინო ისტორია შეისწავლეს და დაადგინეს, რომ „ვიაგრას“ მომხმარებლებს შორის, გაცილებით იშვიათად ფიქსირდება ალცჰაიმერის დაავადების შემთხვევები.

კვლევებისას, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ „ვიაგრას“ მაღალი დოზები ტვინის უჯრედების ზრდას იწვევს. როგორც მეცნიერები აცხადებენ, კვლევის შედეგები დამამედებელია, თუმცა პრაქტიკაში მათ გამოსაყენებლად, დამატებითი ტესტების ჩატარებაა საჭირო. ამასთან, მკვლევარების თქმით, უკვე არსებული მედიკამენტის ახალი დანიშნულებით გამოყენება გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე დაავადების სამკურნალო ახალი პრეპარატის შექმნა.

საქონლის ხორცსაც ავტომატი ჰყიდის

ამომავალი მზის ქვეყანაში, კუნძულ ჰონსიუზე მდებარე ქალაქ ტოიოტაში, უნიკალური სავაჭრო ავტომატი დადგეს, რომელიც საქონლის მაღალხარისხიან, მარმარილოსებურ ხორცს გაყიდის. ძროხის ამ ხორცზე, რომელსაც Wagyu-ს უწოდებენ, საკმაოდ მაღალია მოთხოვნა. ამიტომ, ერთ-ერთ რანჩოზე მდებარე მაღაზიასთან, მწარმოებლებმა სადღეღამისო ავტომატი დადგეს, რომელიც ახალ-ახალი ხორცით ყოველდღიურად შეივსება. სავაჭრო ავტომატის ასორტიმენტშია სტეიკი ჰამბურგერებისთვის – 1 500 იენად, შემწვარი „ვაგიუ“ – 1 800 იენად და სხვა, ნებისმიერი ნაჭერი. ხორცი ვაკუუმური შეფუთვით, გაყინულ მგომარეობაში იყიდება, რომლის ვადაც, დაახლოებით, სამი თვეა. ეს კი მსურველებს საშუალებას აძლევს, მარმარილოსებური ხორცი მარაგადაც შეიძინონ. მომხმარებლები აცხადებენ, რომ ხორცის ფასი ავტომატში ცოტა მაღალია, მაგრამ მისი მაღალი ხარისხი და 24-საათიანი ხელმისაწვდომობა ამად ღირს.

სამგზავრო დრონი გამოსცადეს

ჩინეთში წარმატებით გამოსცადეს მსოფლიოში პირველი, სამგზავრო უპილოტო საფრენი აპარატი. დრონი ქვეყნის სამხრეთში, გუანდუნის პროვინციაში გაუშვეს. ასეთი აპარატით რომ გადაადგილდეს, მგზავრი მხოლოდ სავარძელში უნდა ჩაჯდეს და უსაფრთხოების ქამრები შემოიჭიროს. თუმცა, დრონის ავტორები ამბობენ, რომ ამ ეტაპზე, ასეთი საფრენი აპარატების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში ძნელია, რადგან სპეციალისტებმა ჯერ ვერ შეძლეს, ტრადიციული საფრენ აპარატებზე მთლიანად ავტონომიური ფრენებისთვის მიეღწიათ. ახალი დრონი ელექტრობატარეებზე მუშაობს და ერთჯერადად, მხოლოდ ერთი ადამიანის გადაყვანა შეუძლია, რომლის წონაც 100 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. აპარატი 500 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავს, 100 კილომეტრ/საათის სიჩქარით, დამუხტვა კი ყოველ 25 წუთში სჭირდება.

პოლიტიკოსების ბრძოლა რინგზე

ბრაზილიაში, ქალაქ ბორბას მერი და ყოფილი დეპუტატი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საკამათო საკითხი მდინარე მადეირასთან მდებარე აკვაპარკი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიტიკოსები საქმის გასარჩევად რინგზე შეხვდნენ ერთმანეთს და შერეული საბრძოლო ხელოვნების წესებით იჩხუბეს. The Gardian-ის ცნობით, ბრძოლა მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა. ის 13 წუთს გაგრძელდა და მისი ნახვა ინტერნეტითაც იყო შესაძლებელი. ყოფილმა დეპუტატმა დე სილვამ განაცხადა, რომ ქალაქის მერს, პეიშოტოს აკვაპარკის შენარჩუნება არ შეუძლია, მას თაღლითი უწოდა და რინგზე გამოიწვია.

„მე ქუჩის მოკრივე არ ვარ, ქალაქის მერი ვარ, მაგრამ თუ მას ჩხუბი სურს, მზად ვარ. მე ყოველთვის ვიმარჯვებ“, – გამოეხმაურა ექსდეპუტატს პეიშოტო. საბოლოოდ, მეტოქეები რინგზე შეხვდნენ ერთმანეთს, ბრძოლას კი ასობით მაყურებელი ადევნებდა თვალს. ორთაბრძოლის პირველივე წამებზე, 39 წლის მერმა მოწონააღმდეგე ნოკდაუნში ჩააგდო, თუმცა 45 წლის ექსდეპუტატმა მას წინააღმდეგობა გაუწია. მსაჯებმა გამარჯვებულად მერი პეიშოტო გამოაცხადეს, შესაბამისად, აკვაპარკიც არ შენარჩუნდება.

ნახშირწყლები უძილობას იწვევს

ძილის სურვილი გაგიქრებათ, თუ თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს კოლუმბიის უნივერიტეტის სწავლულებმა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მატებას იწვევენ. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ, შესაძლოა, ჰორმონების გამოტყორცნა გამოიწვიოს, როგორიცაა კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილს არღვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, პაციენტების უძილობისგან განსაკურნად, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ.

მესიჯებს სათვალით გაგზავნით

Ray-Ban Stories-ის „ჭკვიანმა“ სათვალეებმა პროგრამული განახლება მიიღო. ამიერიდან, ამ სათვალის მეშვეობით, Facebook Messenger-ის შეტყობინებების მიღებას, წაკითხვასა და გაგზავნას შეძლებთ. ამის თაობაზე, თავად მარკ ცუკერბერგმა განაცხადა. მისი თქმით, მომხმარებლებს შეეძლებათ, გამოიყენონ სათვალეში ჩამონტაჟებული მიკროფონები, დინამიკები, ასევე, ხმოვანი ასისტენტი მესიჯების წასაკითხად და გასაგზავნად. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება აუდიოზარების განხორციელება მესინჯერით. გარდა ამისა, მომავალი წლიდან, ცუკერბერგი სხვა განახლებებსაც გვპირდება. „ჭკვიანი“ სათვალეების გამოშვება მან გასულ წელს დააანონსა. საამისოდ, ის Luxottica-სა და Ray-Ban-ის ბრენდის სათვალეების მწარმოებლებთან თანამშრომლობს.

რატომ გვცვივა თმა?

იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს, ასაკის მატებასთან ერთად, თავზე თმის რაოდენობა უმცირდებათ. კოსმეტიკური კომპანია „კაო კორპორეიშენის“ სპეციალისტებმა თმის დაბერების გენი გამოყვეს. მისი აქტიურობის ხარისხი უკუდამოკიდებულია განვლილ წლებზე. იაპონელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს, ეფექტურად შეებრძოლონ თმის ცვენის პრობლემას. შედეგად, ადამიანი მოხუცებულობამდე, ხშირ და ხარისხიან თმას შეინარჩუნებს. ცნობილია ისიც, რომ ეს გენი სისხლძარღვების წარმოქმნის მექანიზმში მონაწილეობს. აქედან „კაოს“ სპეციალისტები ასკვნიან, რომ სისხლის ცირკულირების სტიმულირებისას, გენი თმის ძირებს ეხმარება იმ ნივთიერებების მიღებაში, რაც აუცილებელია მათი ზრდისა და სიმაგრისთვის.

მილიარდერს ანტიკვარიატი აუკრძალეს

ამერიკელ მილიარდერსა და უძველესი ხელოვნების მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს კოლექციონერ მაიკლ სტეინჰარდს სამუდამოდ აეკრძალა ანტიკვარიატის ფლობა. გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად, ის დათანხმდა, მოპარული არტეფაქტები დაებრუნებინა, რომელთა საერთო ღირებულება 70 მილიონი დოლარია. ოთხწლიანი გამოძიების შედეგების მიხედვით, მანჰეტენის პროკურატურამ განაცხადა, რომ ეს პირველი მსგავსი პრეცენდენტია. სტეინჰარდის ბინისა და ოფისის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა 180 მოპარული არტეფაქტი აღმოაჩინეს. ისინი კონტრაბანდული გზით, 11 სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ისრაელიდან, სირიიდან და თურქეთიდან იყო ჩამოტანილი. პროკურორის თქმით, მილიარდერი წლების განმავლობაში ნადირობდა მოპარულ არტეფაქტებზე და არად აგდებდა იმ ზიანს, რასაც მთელ მსოფლიოს აყენებდა. 81 წლის კოლექციონერის ადვოკატების თქმით, მათი კლიენტი კმაყოფილია, რომ ითანამშრომლა გამოძიებასთან და სამაგიეროდ, ბრალს აღარ წაუყენებენ. მოპარული ნივთები მფლობელებს დაუბრუნდებათ.

ჰიპნოტიზიორი სუპერმარკეტებს ძარცვავს

იტალიის პოლიცია მამაკაცს ეძებს, რომელიც ჰიპნოზის საშუალებით, სუპერმარკეტებისა და ბანკების მოლარეებს თანხას სძალავს. ყველა შემთხვევაში, როცა ამ დაწესებულებათა თანამშრომლები ჰიპნოტიზიორი-ქურდის მსხვერპლად იქცნენ, მომხდარის შესახებ, არც ერთ მათგანს არ ახსოვდა არაფერი, გარდა სიტყვებისა – „თვალებში შემომხედეთ“. ამის შემდეგ, როგორც სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე ჩანს, მოლარეები საკუთარი ნებით აძლევდნენ მას იმდენ თანხას, რამდენსაც ითხოვდა. დანაკარგი კი მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინეს, როცა სალაროში ფული დაითვალეს. პოლიციელთა განცხადებით, რომელთაც ვიდეოჩანაწერები მთელ იტალიაში გაავრცელეს, ვარაუდობენ, რომ დამნაშავე წარმოშობით ინდოეთიდან ან ჩრდილოამერიკიდან უნდა იყოს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 37 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებების შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა, რომელთა საერთო ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე, დაახლოებით, 37 მილიონ ლარზე მეტია.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები ნარკოტიკებსა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სასამართლოს განაჩენის შემდეგ, სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიის წევრების თანდასწრებით, ეტაპობრივად ანადგურებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წელს გაანადგურა უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები:

23 კილო და 759 გრამი „ჰეროინი“;
12 127 ტაბლეტი „სუბუტექსი“,
9 კგ კოკაინი;
220 გრამი „მდმა“;
347 გრამი „მეტადონი“;
1 ტონა და 655 კგ. კანაფი;
1 ტონა და 15 კგ. „მარიხუანა“;
„მდმა“-ს შემცველი 1000 ტაბლეტი;
367 კაფსულა/ტაბლეტი „ტრამადოლი“;
„მეტადონის“ შემცველი 125 ტაბლეტი;
896 გრამი კანაფის ფისი;
229 გრამი „ალფა პვპ“;
679 კაფსულა „პრეგაბალინი“;
260 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება;
580 კაფსულა „ფსევდოეფედრინი“.

სამართალდამცველებმა უკანონო ბრუნვიდან ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკები გარემოსდაცვითი თანამედროვე სტანდარტების დაცვით, მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურეს.

ნარკოტიკული საშუალებების განადგურების პროცესს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე ვიდეორგოლის პრეზენტაცია გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის პრევენციის მიზნით მომზადებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია გაიმართა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში სტუმრად მოწვეულ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, კელი დეგნანს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ უმასპინძლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი მართვის ცენტრი „112“-ის დირექტორმა, გიორგი არსოშვილმა და მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, იმედა მაკასარაშვილმა პრეზენტაციაზე მოწვეულ პირებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები, საკანონმდებლო ცვლილებები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, აშშ-ის ელჩმა ხაზი გაუსვა იმ მძიმე შედეგებს, რასაც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ავტომანქანის მართვა იწვევს და ყურადღება გაამახვილა ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე.

ვიდეორგოლი ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით შეიქმნა. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ასევე, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში პოლიციის როლი უმნიშვნელოვანესია, რაც გულისხმობს, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტების შემუშავებასა და ინიცირებას, ასევე, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და რეგულირების მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას.

წელს, საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა და ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი მძღოლებისთვის სასჯელი გამკაცრდა.

ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რითაც მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება შესაბამის დირექტივებთან.

აღნიშნულის პარალელურად, გრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება საგზაო მოძრაობის რეგულირების მიმართულებით, როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, ასევე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699
დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.